Nova Vita, ანუ თერაპია მოქალაქეთა კავშირისათვის A2

„დააკავეთ, განაიარაღეთ და რუსეთის პროკურატურას გადაეცით„ A3

ნიუ-იორკის პროკურორი თანამედროვე მაფიის წინააღმდეგ A4

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 25 აგვისტო, 2002 წელი. №84

ფასი 50 თეთრი

ჩეჩნეთში ვანკისზე უარესი ვითარებაა - ხომ არ დადგა უცხოელი სამხედროების შეყვანის დრო?

გიორგი ხელაშვილი

მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა გაზეთმა "ფაინენშელ თაიმსმა" გუშინწინდელ სარედაქციო კომენტარში საინტერესო მოსაზრება წარმოადგინა: ***"თუ რუსეთს შესაძლებლად მიაჩნია თავისი ჯარების შეყვანა საქართველოში, მაშინ ასევე სამართლიანი იქნებოდა ჩეჩნეთში არარუსული ძალების შეყვანაც".***

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გაზეთი "ფაინენშელ თაიმსი" ჩეჩნეთის რთული პრობლემის გადაწყვეტას დასავლური ბიზნეს-სამყაროსათვის ჩვეული საქმიანი მანერით უდგება:

"შეერთებულმა შტატებმა და ევროპის კავშირმა უნდა გამოიყენონ შანსი და საერთაშორისო საზოგადოების დღის წესრიგში კვლავ დააყენონ ჩეჩნეთის საკითხი. უპირველეს ყოვლისა, ოფიციალურმა პირებმა უნდა შეახსენონ ბატონ პუტინს, რომ მისი პროდასავლური საგარეო პოლიტიკა დასავლურ ფასეულობებთან რუსეთის შეერთებასაც გულისხმობს, ადამიანის უფლებების დაცვის ჩათვლით.

შემდეგ, დასავლეთმა უნდა შეისწავლოს ჩეჩნეთში სერიოზული საერთაშორისო ჩარევის საკითხი. თუ რუსეთს შესაძლებლად მიაჩნია თავისი ჯარების შეყვანა საქართველოში, მაშინ ასევე სამართლიანი იქნებოდა ჩეჩნეთში არარუსული ძალების შეყვანაც. ამგვარი ძალების შეყვანა, შეიძლებოდა, საშუამავლო ძალისხმევით დაწყებულიყო და სამშვიდობო ძალების შეყვანით დასრულებულიყო, სამოქალაქო ინფრასტრუქტურის აღმდგენი რაზმებისა და ჰუმანიტარული დახმარების დიდი პაკეტის თანხლებით.

გაგრძელება A2 გვერდზე

ამ ქედებს იქით მათი სამშობლოა, სადაც რუსეთი სამი წელიწადია წესრიგს ამყარებს

მარიკა ამერველავილის ფოტო

რა აკავშირებს კოდორის შარშანდელ მოვლენებს ვანკისის ხეობის დაბომბვასთან

კობა ლიკლიკაძე

"რადიო თავისუფლება," სპეციალურად "24 საათისთვის"

ყველა ომი, შეიარაღებული კონფლიქტი თუ სამხედრო ინციდენტი წარმოუდგენელია სხვადასხვა სახის გასაიდუმლოებული ისტორიების გარეშე. მაგრამ ისინი ზედაპირზე მხოლოდ მას შემდეგ იწყებენ ამოსვლას, როდესაც მოვლენის ემპირიული შეფასება კარგავს თავის აქტუალობას. რუსეთის სამხედრო ავიაციის მიერ პანკისის ხეობის დაბომბვის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლება, პოლიტიკური სპექტრი და მას-მედია, ბუნებრივია, ამჯერადაც მთლიანად მომხდარის კომენტირებითა და მოვლენათა განვითარების პროგნოზირებით არიან დაკავებულნი. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ახლო წარსულის გახსენება და გარკვეული პარალელის გავლება თუნდაც კოდორის შარშანდელ მოვლენებთან. მით უფრო, რომ ამ ორ ინციდენტს ბევრი რამ აქვთ საერთო.

გასულ წელს სიტუაციის გამწვავება კოდორის ხეობაში სწორედ აგვისტოს ბოლოს დაიწყო. 22 აგვისტოს მარუხის უღელტეხილზე, კერძოდ მჟავე წყლებთან, რუსულმა ავიაციამ, დიდი რაოდენობით ქვეითსაწინააღმდეგო თვითმართვადი ნაღმები ჩამოყარა. 24 აგვისტოს კი დაზვერვაზე წასული ქართველი სამხედროები - კაპიტანი დავით დავლაშერიძე და უფროსი ლეიტენანტი მურთაზ ოსეფაშვილი ნაღმზე აფეთქდნენ. ხეობიდან ევაკუირებული მებრძოლების

გაგრძელება A2 გვერდზე

გია ნოდია: ოპოზიცია რთულ ვითარებაშია

მაგრამ იგი რბილი კრიტიკით არ უნდა შემოიფარგლოს და საზოგადოებას პრობლემების გადაჭრის კონკრეტული გზები შესთავაზოს

ეკა კვესიტაძე

- ვის შეიძლება აძლევდეს ხელს დღეს შექმნილი სიტუაცია და დესტაბილიზაციის მუდმივი მოლოდინი. შეიძლება თუ არა, რომ ეს ძალა თვითონ ხელისუფლება იყოს?

- სიტუაცია ძალინ მყიფეა და ძნელია იმის წინასწარმეტყველება, რა მოხდება. ერთის მხრივ ჩანს, რომ საქართველოს ტერიტორიის დაბომბვით რუსეთი საქართველოში დესტაბილიზაციის პროვოცირებას ცდილობს. რუსი პოლიტოლოგები და პოლიტიკოსები უკვე ღიად აცხადებენ, რომ პანკისში დაწყებულმა არეულობამ, შეიძლება, გამოიწვიოს დესტაბილიზაცია, რომელიც შევარდნაძის მმართველობის დასასრულის დასაწყისი გახდება. თუ გავითვალისწინებთ შევარდნაძის არაპოპულარობას მოსახლეობაში, ეს ვარიანტი, შესაძლოა, თეორიულად განხილვადი იყოს.

გაგრძელება A4 გვერდზე

საქართველოს აქვს ლიბერალური დემოკრატიის აშენების შანსი

ირაკლი არეშიძე

ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტის მეცნიერი

ჩვენში ხშირად საუბრობენ იმის თაობაზე, თუ როგორი სახელმწიფო უნდა აშენდეს საქართველოში. ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, ეს უნდა იყოს "დასავლური" სახელმწიფო, მაგრამ ეს დასახელება საკმაოდ პრობლემატურია—განა ფაშიზმი დასავლური არ არის? ფაშისტური გერმანია, იტალია და ესპანეთი დასავლეთისა და დასავლურ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ, რომლებიც დასავლური პოლიტიკური ფილოსოფიის უმნიშვნელოვანეს წარმომადგენელთა ნააზრევს ეფუძნებოდნენ და როგორც ცნობილია, არც ფაშიზმის დამცველი, უდიდესი ფილოსოფოსი მარტინ ჰაიდეგერი იყო აღმოსავლელი, ჩრდილოელი ან სამხრეთელი.

ამავე დროს, ანალიტიკოსები ხშირად აცხადებენ, რომ საქართველოში "დემოკრატიულ" სახელმწიფოს შექმნაზეა ლაპარაკი. ეს სახელი უფრო ახლოსაა სინამდვილესთან, ვიდრე ტერმინი "დასავლური," მაგრამ ესეც პრობლემატურია -

გაგრძელება A4 გვერდზე

ვანკისის ხეობაში ოპერაცია დაიწყო

გუშინ, შუადღისას უშიშროებისა და შს მინისტრები კახეთში გაემგზავრნენ. კახეთის რეგიონში ძალოვანთა თავკაცების ჩასვლის მიზეზი პანკისის ხეობის "დასალაგებლად" ჩასატარებელი ანტიკრიმინალური ოპერაცია გახდა.

გუშინ, დილიდან შსს-მ მობილიზაცია გამოაცხადა და, მინისტრთან ერთად, კახეთში ჩავიდნენ სხვადასხვა რეგიონების პოლიციელთა შენაერთებიც.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, სპეცოპერაციას კობა ნარჩემაშვილი უხელმძღვანელებს. საქართველოს ყველა შეიარაღებული ფორმირება, მათ შორის, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ძალები, შს მინისტრს დაემორჩილება.

პანკისის ხეობაში იმყოფებიან შსს-ს შინაგანი ჯარები; აგრეთვე, ხეობაშია 600-მდე ჯარისკაცი, რომლებიც სამხედრო სწავლება "კახეთი 2002"-ში მიიღებენ მონაწილეობას. წვრთნებში მონაწილეობენ თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის, სასაზღვრო ძალებისა და შინაგანი ჯარების ქვედანაყოფები, რეინჯერები, რომლებმაც აშშ-ს ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით გაიარეს სამხედრო მომზადება.

გაგრძელება A3 გვერდზე

ამინდი

თბილისი	26
ქუთაისი	27
ბათუმი	24
ქობულეთი	24
სოხუმი	26
ფოთი	25
თელავი	24
ზუგდიდი	27
გორი	23

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1950
ევრო	2.1270
გირვანქა სტერლინგი	3.3373
რუბლი	0.0695

სფფ-ის არჩევნები ჟორდანიას ტრიუმფით მთავრდება

აკა ტონია

ქართულმა ფეხბურთმა თავისი ხმა ჟორდანიას მისცა

"კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ფულზე ყველაფერი არ იყიდება. ბედნიერი ვარ, რომ საფეხბურთო ოჯახმა კიდევ ერთხელ გამოიცხადა ნდობა", - განაცხადა მერაბ ჟორდანიამ მას შემდეგ, რაც სფფ-ის V ყრილობაზე დელეგატთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ის მეორე ვადით აირჩია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად.

გუშინ, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა და პრეზიდენტის არჩევნები ჟორდანიას სრული ტრიუმფით დასრულდა. ჟორდანიას კანდიდატურას, 57 დელეგატიდან, 38-მა დაუჭირა მხარი. მისმა ოპონენტმა, დავით პეტრიაშვილმა მისი კანდიდატურისათვის კენჭისყრა არ ჩათვალა საჭიროდ.

გაგრძელება B1 გვერდზე

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

პარლამენტის თავმჯდომარე რუსული საფრენი აპარატების ჩამოგდებას ითხოვს

გიორგი ასანიშვილი

23 აგვისტოს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ პანკისის ხეობის დაბომბვამ საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელობას საზაფხულო არდადეგები ნაადრევად შეაწყვეტინა. გუშინ საკანონმდებლო ორგანოს ბიუროს წევრები სასწრაფოდ შეიკრიბნენ, რათა შექმნილ ვითარებაზე ემსჯელათ და დაძაბულობის ესკალაციის შემთხვევისთვის, ქვეყნის უსაფრთხოების პრევენტული ღონისძიებები დაესახათ. სადეპუტატო კორპუსის განწყობასა და პათოსს კარგად გამოხატავს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადება, რომელშიც იგი ძალოვან უწყებებს აგრესორის წინააღმდეგ საპასუხო ქმედებების განხორციელებისკენ მოუწოდებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A3 უცხოეთი A3 სამართალი A3 ეკონომიკა A4 თვალსაზრისი

B2 კულტურა B3 რეკლამა B4 სხვადასხვა

ნაზრანი. გუშინ რუსეთ-საქართველის საზღვრის სიახლოვეს, ნაზრანის საგუშაგოს მესაზღვრეებმა აღმოაჩინეს რვა რუსი ჯარისკაცის ცხედარი. მათ გარდა, კიდევ ორი სამხედრო მოსამსახურე დაკარგულად ითვლება.

წინა ღამით სასაზღვრო განაწესი "ზასადა" ჩვეულებისამებრ გავიდა სამორიგეოდ, მაგრამ დათქმულ დროს კავშირზე არ გამოსულა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო მათი ძებნის ოპერაცია.

საგანგებო შემთხვევის რაიონში მიმდინარეობს სამძებრო მოქმედებები. გამოძიებას აწარმოებს ფედერალური სასაზღვრო სამსახურის რეგიონალური სამმართველო.

■ ■ ■

თბილისი. ქართული და ოსური სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, მშვიდობის მხარდამჭერი შერეული ძალების დახმარებით, აგრძელებენ ვიცე-პოლკოვნიკ ზურაბ დურგლიშვილის ძებნას, რომელიც სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ზნაურის რაიონიდან, 15 აგვისტოს ორმა, დაუდგენელმა შეიარაღებულმა პირმა გაიტაცა.

როგორც პრაიმ-ნიუსს შაბათს, შერეული სამშვიდობო ძალების სარდალმა გენერალ-მაიორმა ვასილ პრიზემლინმა განუცხადა, ამჟამად მიმდინარეობს ოპერატიული სამუშაოები ზურაბ დურგლიშვილის ადგილსამყოფელის დასადგენად.

მან აღნიშნა, რომ სამშვიდობოები დურგლიშვილის მოსაძებნად ახალ, გასულ კვირას ახალგორის რაიონში ჩატარებული ღონისძიების, ანალოგიურ სპეცოპერაციებს არ გეგმავენ.

ვასილ პრიზემლინმა არ გამორიცხა, რომ გამტაცებლები ვიცე-პოლკოვნიკის გასათავისუფლებლად გამოსასყიდს მოითხოვენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტარი გია ბარამიძე პანკისის მოვლენების გამეორებას კოდორის ხეობაშიც არ გამორიცხავს.

"კოდორი, შეიძლება, აფხაზეთივით დავკარგოთ, რადგან სადღეისოდ ხეობა ხელისუფლების მხრიდან ფაქტობრივად უყურადღებოდაა დატოვებული. ხეობას საჭირო რაოდენობის ძალები არ იცავენ და მთელი ყურადღება პანკისზეა გადატანილი", - განაცხადა "ინტერ-პრესთან" საუბარში გია ბარამიძემ.

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის ვარაუდით, ხელისუფლება ვეღარაფერს გააკეთებს, თუ ხეობაში შესასვლელი გზა გადაიკეტა, ამ გზას საქართველოს მთავრობა "შეგნებულად არ აკეთებს".

გია ბარამიძე პრეზიდენტისაგან თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მიერ გაგზავნილ წერილზე სასწრაფო რეაგირებას მოითხოვს, რომელშიც კოდორის ხეობის დასაცავად საჭირო რაოდენობის სამხედრო შეიარაღების აუცილებლობაზეა საუბარი. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

გორი.. თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალის სოფელ რუისის მონაკვეთზე ჯერჯერობით დაუდგენელმა თავდამსხმელებმა თბილისის საბაჟოს თანამშრომელი ნუკრი იოსებაშვილი მოკლეს.

ნიღბიანი შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ თბილისის საბაჟოს თანამშრომელ ნუკრი იოსებაშვილს, რომელიც "ლექსუსის" მარკის ავტომანქანით ძმასთან ერთად თბილისიდან ბორჯომში მიდიოდა.

თავდამსხმელებმა იოსებაშვილს ავტომანქანის გაჩერება მოსთხოვეს და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს. სროლის შედეგად მიღებული ჭრილობები ნუკრი იოსებაშვილისთვის სასიკვდილო აღმოჩნდა.

სამხედრო ფორმიანმა ნიღბიანებმა ავტომანქანა გაიტაცეს და ცხინვალის მიმართულებით მიიმალნენ. თუმცა, მოგვიანებით მწყობრიდან გამოსული ავტომანქანა მათ გორი-ცხინვალის მონაკვეთზე მიატოვეს.

სამართალდამცველები აღნიშნულ დანაშაულში ცხივნალის რეგიონის ტერიტორიაზე მოქმედი ოსი კრიმინალების მონაწილეობას არ გამორიცხავენ.

ფაქტთან დაკავშირებით საქმეს რეგიონის პროკურატურა აწარმოებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ქუთაისი.. ქუთაისში მუშაობა დაიწყო საარჩევნო დარღვევების შემსწავლელმა დროებითმა საპარლამენტო კომისიამ. სავარაუდოდ, ქუთაისის თხუთმეტკაციან საკრებულოს არჩევნების შედეგების გადამოწმების შემდეგ მინიმუმ ოთხი დეპუტატი დატოვებს.

როგორც "ინტერ-პრესს" კომისიის თავმჯდომარემ ზაქარია ქუცნაშვილმა განუცხადა, ქუთაისის საკრებულოს არჩევნების დროს მოქმედი ათი საარჩევნო უბნის მონაცემთა გადამოწმება სავსებით საკმარისია იმის გასარკვევად, რა ტექნოლოგიითა და ვის მიერ გაყალბდა 2 ივნისს ქუთაისის საკრებულოს არჩევნები და ეჭვქვეშ დადგეს საკრებულოს დეპუტატთა უფლებამოსილება.

საარჩევნო დარღვევების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის წევრები ვახტანგ ხმალაძე და ვალერი გელბახიანი ასევე მიიჩნევენ, რომ ასამდე საარჩევნო უბნის შედეგების გადათვლა ქუთაისის საკრებულოში უკანონოდ მოხვედრილი დეპუტატების გამოსავლენად საჭირო არ არის.

"ვინაიდან კომისიის მიზანს არჩევნების გამყალბებელთა ვინაობებისა და მათი დასჯის პირველი პრეცედენტის შექმნა წარმოადგენს, კომისიას ცენტრალური საარჩევნო კომისიის 59-ე საარჩევნო ოლქის ქუთაისის ასევე საარჩევნო უბნის შედეგების ხელახალი გადათვლა მოუწევს" - განუცხადა "ინტერ-პრესს" ზაქარია ქუცნაშვილმა.

ქუთაისის პროკურატურაში უკვე დაიკითხა საარჩევნო კომისიების რამდენიმე წევრი, რომელთა მტკიცებით, არჩევნების მსვლელობისას გამოვლენილი დარღვევები ხშირ შემთხვევაში კანონის არასრულყოფილებით იყო გამოწვეული. **ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი.. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ბათიაშვილმა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად საჭირო თანხების სასწრაფო მოძიების მიზნით პარლამენტს სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა სთხოვა.

ირაკლი ბათიაშვილი პანკისის ხეობაში სიტუაციის კიდევ უფრო გამწვავებას არ გამორიცხავს, თუ საქართველოს ხელისუფლება ქმედით ღონისძიებებს დროულად არ გაატარებს.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე პარლამენტისაგან ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებისა და გადასატანი საზენიტო საშუალებების შეძენისათვის საჭირო თანხების მოსაძიებლად პარლამენტისაგან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადახედვას და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანას მოითხოვს.

■ ■ ■

მისი განცხადებით, პარლამენტმა კონტროლზე უნდა აიყვანოს აღმასრულებელი ხელისუფლების ნებისმიერი ქმედითი ღონისძიება, რომელსაც იგი პანკისის ხეობაში გაატარებს.

"რუსეთის მხრიდან განხორციელებული ესკალაციური ხასიათის თანმიმდევრული აგრესია შეიძლება, დამანგრეველი აღმოჩნდეს საქართველოსთვის. ეს დაბომბვები მხოლოდ დღევანდელ ეტაპზე არ არის გათვლილი და მასშტაბურ პოლიტიკურ დესტაბილიზაციას ისახავს მიზნად", - მიიჩნევს ბათიაშვილი, რომელიც საქართველოს პარლამენტს აშშ-სადმი მიმართვას ურჩევს, რათა მან საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობათა მოგვარებაში შუამდგომლის როლი შეასრულოს. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი.. იუსტიციის სამინისტროს სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის ავჭალის ქალთა მეხუთე დაწესებულებაში უახლოეს დღეებში შვიდი მსჯავრდებულის გათავისუფლებას ელიან.

ამის შესახებ "ინტერ-პრესს" დაწესებულების ხელმძღვანელმა მედიკო ალანიამ განუცხადა.

მისი თქმით, დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულთაგან შვიდი წარდგენილია კომისიაზე, რომელმაც ისინი ვადაზე ადრე უნდა გაათავისუფლოს. მათგან ყველაზე პატარა 17 წლისაა და იგი ნარკოტიკული ნივთიერების გასაღებისათვის იხდის სასჯელს. **"ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. უშიშროების სამინისტრომ უკვე დაიწყო გამოძიება პანკისისა და მთიანეთის ტერიტორიებზე პარასკევს, გამთენიისას რუსეთის ავიაციის მიერ განხორციელებული დაბომბვის ფაქტთან დაკავშირებით.

როგორც პრაიმ-ნიუსს უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში აცნობეს, საგამოძიებო ჯგუფი შემთხვევის ადგილზე იმყოფება, რომელიც დაზარალებულებისა და მოწმეების დაკითხვას აწარმოებს.

აგრეთვე, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული იქნება სათანადო ნივთმტკიცებები, რომელთაც შესაბამისი ექსპერტიზა ჩაუტარდებათ.

უშიშროების სამინისტროსათვის ჯერჯერობით არაა დაზუსტებული დაბომბვისას გამოყენებული იარაღის სახეობა.

კოდორის ხეობისა და მთიანეთის ტერიტორიებზე განხორციელებული დაბომბვების ფაქტზე საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ პარასკევს სისხლის სამართლის საქმე ოთხი მუხლით აღძრა, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის "ა" პუნქტით - განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, 280-ე მუხლის მეორე ნაწილით - ფრენის საერთაშორისო წესების დარღვევა, 344-ე მუხლის მესამე ნაწილით - საქართველოს სახელმწიფო საჰაერო საზღვრის უკანონო დარღვევა და 408-ე მუხლით - დანაშაული ადამიანების წინააღმდეგ, რაც მოსახლეობის განზრახ მკვლელობით ან სხვა არაჰუმანური ქმედებებით გამოიხატება.

იმავე დღეს საქმე შემდგომი გამოძიებისათვის, ქვემდებარეობით უშიშროების სამინისტროს გადაეგზავნა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საერთაშორისო ორგანიზაცია WORLD VISION-მა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს პატიმრებისათვის ჰუმანიტარული დახმარების სახით ტანსაცმელი და ფეხსაცმელი გადასცა.

როგორც პრაიმ-ნიუსს სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტში აცნობეს, კაბებისა და სვიტრების ამანათი, დეპარტამენტის თავმჯდომრის მოადგილემ კახა კახიშვილმა ზემო ავჭალის ქალთა მეხუთე კოლონიის პატიმრებს გაუნაწილა. პატიმრებისათვის განკუთვნილი ჩექმების გაცემა კი, ზამთარში დაიწყება.

ტანსაცმელი მეორადი მოხმარების არაა და ახალია.

მათივე ინფორმაციით, მოლაპარაკება WORLD VISION-სა და სასჯელ აღსრულების დეპარტამენტს შორის სამი თვის წინ დაიწყო. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ მსგავსი სოლიდური სახის დახმარება ერთჯერადი არ იქნება.

ზემო ავჭალის დაწესებულებაში სასჯელს 132 მსჯავრდებული იხდის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

მოსკოვი. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სიტყვიდან საქმეზე გადასვლისაკენ მოუწოდა თბილისს, ნათქვამია რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყების შაბათის განცხადებაში.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ "მას შემდეგ, რაც თბილისი სიტყვიდან რეალურ ბრძოლაზე გადავა ტერორიზმის წინააღმდეგ - გაეროს ანტიტერორისტული **N**1373 რეზოლუციიდან გამომდინარე თავისი მოვალეობების შესრულებაზე, ორი ქვეყნის საზღვარზე ვითარების გამწვავების მიზეზებიც ამოიწურება". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გავიდა უზუსტობა; კერძოდ, ილტოს ხეობა მოხსენიებული იყო ლათას ხეობად, რისთვისაც მკითხველს ბოდიშს ვუხდით.

რა აკავშირებს კოდორის შარშანდელ მოვლენებს პანკისის ხეობის დაბომბვასთან

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

რუსლან გილაევი

სიცოცხლის გადარჩენა, თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში, მხოლოდ ქვედა კიდურების ამპუტაციის შემდეგ მოხერხდა.

შემდგომ კი ვითარება კოდორის ხეობაში კიდევ უფრო დრამატულად განვითარდა. ერთი თვის თავზე ხეობაში გამოჩნდა ცნობილი ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გელაევის ოთხასკაციანი რაზმი, რომელმაც კურსი სწორედ მჟავე წყლების მიმართულებით აიღო. ძნელი სათქმელია, თუ ვის მიერ იქნა შემუშავებული გელაევის რაზმის პანკისიდან კოდორის ხეობაში გადაადგილების სცენარი და რა მიზანს ისახავდა საზოგადოების თვალში იმ საველე მეთაურის რეანიმირების იდეა, რომელიც, შამილ ბასაევის მსგავსად, 1992-1993 წლებში აქტიურად იბრძოდა აფხაზეთში საქართველოს შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ.

ერთი ვერსიით, გელაევს სწორედ ქართველების წინაშე ჩადენილი ამ დანაშაულის გამოსყიდვა სურდა და იმიტომ შეიჭრა აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამ მოსაზრებას დამაჯერებლობას მატებს ის გარემოება, რომ ჩეჩნების დამოკიდებულება აფხაზებისადმი რადიკალურად მას შემდეგ შეიცვალა, რაც ამ უკანასკნელებმა რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დროს ნეიტრალური პოზიცია დაიკავეს ყოფილი მოკავშირეების მიმართ. მეორე ვერსიით, რუსლან გელაევის რაზმი ყაბარდო-ბალყარეთის გავლით ჩეჩნეთში უნდა გადასულიყო, მაგრამ რუსული აგენტურის მცდელობით ოპერაცია ჩავარდა და ისინი აფხაზეთის ტერიტორიაზე ალყაში აღმოჩნდნენ.

მოგვიანებით, მჟავე წყლებთან ადგილობრივი სვანების დახმარებით ამოსული გელაევის რაზმის წევრები, გამთენიისას რუსეთის ავიაციამ დაბომბა, რის შედეგადაც 6 ჩეჩენი მებრძოლი ადგილზე დაიღუპა. იმ ამბების უშუალო მონაწილეთა თქმით, რომლებიც, ალბათ, კიდევ დიდხანს არ მოისურვებენ საკუთარი ვინაობის გამჟღავნებას, მოვლენათა ასეთი განვითარების უკან რუსლან გელაევმა საქართველოს ხელისუფლების ღალატი ამოიკითხა (სხვათა შორის, ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ღალატზე საუბრობდა იმ დღეებში ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებული ემზარ კვიციანი, რომელმაც საკომიტეტო მოსმენაზე პარლამენტში განაცხადა, რომ საჯაროდ დაასახელებდა იმ მოხელეთა ვინაობას, რომლებიც ზუსტ კოორდინატებს აწვდიდნენ რუსეთის ავიაციას).

დღეს საინფორმაციო საშუალებებს ხშირად მოჰყავთ პრეზიდენტ შევარდნაძის სატელევიზიო გამონათქვამი რუსლან გელაევის განათლებულობის შესახებ, როგორც ხელისუფლების ინფანტილურობისა და რუსეთის გაღიზიანების კლასიკური მაგალითი. მაგრამ არავინ იცის, მაშინ რუსეთის გაღიზიანება სჯობდა, თუ შურისძიების გრძნობით შეპყრობილი იმ ასობით ჩეჩენი მებრძოლის გულის მოლბობა, რომლებიც მზად იყვნენ, საქართველოს ხელისუფლებისთვის მეორე ჩეჩნეთი მოეწყოთ...

დღესაც, როგორც ერთი წლის წინ, რუსლან გელაევის რაზმის ნარჩენები რუსეთის საზღვრისკენ მიიწევენ, საქართველოს ხელისუფლება კვლავ არაფერს იმჩნევს, მებრძოლებს კი კვალდაკვალ მიჰყვებიან რუსული გამანადგურებლები და არავინ უწყის, თუ რით დამთავრდება ეს უთანასწორო ორთაბრძოლა.

ჩეჩნეთში პანკისზე უარესი ვითარებაა - ხომ არ დადგა უკხოელი სამხედროების შეყვანის დრო?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

არ არის აუცილებელი, რომ მთელი ფული ჩეჩნეთში წავიდეს. სავსებით კანონიერი იქნებოდა, რომ ამ ფულის ნაწილი მოსკოვშიც გადარიცხულიყო, ვთქვათ, ჩეჩნეთში განლაგებული რუსული ჯარებისათვის დისლოკაციის ადგილის შეცვლისა და პროფესიონალი ჯარისკაცების მიერ სამოქალაქო სამსახურში გადასვლის სტიმულირებისათვის.

ჩეჩნეთში ჩარევაზე დახარჯული თანხები, შეიძლება, ძალიან დიდი იყოს. მაგრამ ჩაურევლობის ფასი, საბოლოო ჯამში, შეიძლება, კიდევ უფრო მაღალი აღმოჩნდეს, განსაკუთრებით, თუ საბრძოლო მოქმედებები სამხრეთ კავკასიაშიც გავრცელდება".

მართლაც, რა ხდება ჩეჩნეთში, პანკისს რომ ცოტა ხნით თავი დავანებოთ?

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა გუშინ განაცხადა: **"მიმაჩნია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა შეასრულეს თავიანთი მთავარი ამოცანა ჩეჩნეთში – ხერხემალი გადაუმსხვრიეს ტერორისტების, დაქირავებულებისა და ყველანაირი ნაძირალის მრავალათასიან ბანდებს".** მისი აზრით, ახლა ჩეჩნეთის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრის დრო დადგა.

როგორც ჩანს, რუსი მინისტრი ყოველდღიურად ათობით რუსი და ჩეჩენი სამხედრო თუ სამოქალაქო პირის დაღუპვას, ვერტმფრენების ერთიმეორის მიყოლებით ჩამოგდებას, ჩეჩენი კოლაბორაციონისტების ჩეჩნების ხელითვე განადგურებას, გროზნოს მიდამოებში რუსული არმიის უიმედო დაჭაობებას, მხოლოდ "ეკონომიკურ და სოციალურ" პრობლემად მიიჩნევს. გამოდის, რომ ჩეჩნეთში ყველაფერი რიგზეა და თუ რუსები პანკისის პრობლემას მოაგვარებენ, მშვიდობაც დაისადგურებს.

ივანოვის ოპტიმიზმი, რბილად რომ ვთქვათ, სინამდვილისგან შორს დგას. ჩეჩნეთში ჯერ კიდევ ომი მიმდინარეობს და რაც დრო გადის, მისი დასასრულიც სულ უფრო ბუნდოვანი ჩანს. ამას ადასტურებს საომარი მოქმედებების ყოველდღიური ქრონიკა ჩეჩნეთიდან.

სერგეი ივანოვი გარკვეულწილად მართალია, როდესაც ამბობს, რომ ჩეჩნეთის წინააღმდეგობის მოძრაობას ხერხემალი გადაუმსხვრიეს, მაგრამ ჩეჩნებისათვის რუსეთის სამხედრო მანქანასთან პირისპირ შეჯახება არასოდეს წარმოადგენდა წამყვან ტაქტიკას. ჩეჩენი მებრძოლები ყოველთვის პარტიზანული ბრძოლის ტაქტიკას ამჯობინებდნენ. პარტიზანულ ბრძოლას კი, ცხადია, ჯერ ბოლო არ უჩანს.

რითი პასუხობენ რუსები ამ ტაქტიკას? არაპროპორციული ავიადარტყმებით, "ზაჩისტკებით" და ადგილობრივი მოსახლეობის დატერორებით. რუსული "ნეზავისიმაია გაზეტა" აღიარებს, რომ **"სამხედრო მეთაურები და პოლიტიკური ხელისუფლება გამალებით ამუშავებენ მეომარი რესპუბლიკის თავზე გადაფრენების უსაფრთხოების ზომებს, იმის მაგივრად, რომ მიიღონ ყველაზე მთავარი და საიმედო ზომა – შეაჩერონ შეიარაღებული კონფლიქტი".**

როგორც ვხედავთ, საერთო აღიარებით, პრობლემა ჩეჩნეთია და არა პანკისის ხეობა. როგორც კი ჩეჩნეთში შეიარაღებული კონფლიქტი შეწყდება, მდგომარეობა პანკისში თავისთავად განიმუხტება. მაშასადამე, საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება, პირველ რიგში, ჩეჩნეთზე უნდა იყოს მიპყრობილი. თუ რუსეთმა მთელი სამი წლის განმავლობაში ვერ მოახერხა ჩეჩნეთის პრობლემის გადაწყვეტა, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ რუსეთს საკუთარ ტერიტორიაზე კონტროლის დამყარების უნარი არ გააჩნია?

ამგვარ შემთხვევებში კი რუსები თავად გვაწვდიან რეცეპტს – რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად უცხო ქვეყნის სამხედრო ძალების შეყვანა.

პარლამენტის თავმჯდომარე რუსული საფრენი აპარატების ჩამოგდებას ითხოვს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"ნებისმიერი ქვეყნის საფრენი აპარატი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოფრინდება და დაარღვევს ჩვენი ქვეყნის საჰაერო სივრცეს, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა ჩამოვაგდოთ, რათა ქვეყნის მოსახლეობას ერთხელ და სამუდამოდ შეექმნას დაცულობის გარანტია", - მოითხოვს ბურჯანაძე. მისივე თქმით, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, რუსების მიერ ჩვენი ტერიტორიის ადრინდელი დაბომბვების დროს, ერთი ვერტმფრენიც რომ ჩამოეგდოთ, მოსკოვი ახალი ავანტიურის განხორციელებას ვეღარ გაბედავდა.

პარლამენტარები უკვე შეუდგნენ მუშაობას დადგენილების ტექსტზე, რომელშიც მოსკოვის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული აგრესიული პოლიტიკა იქნება შეფასებული. ეს დოკუმენტი მხოლოდ 23 აგვისტოს მომხდარი ინციდენტისთვის კვალიფიკაციის მიცემით არ შემოიფარგლება და გაცილებით "ფართომასშტაბიანი" იქნება.

სავარაუდოდ, პროექტი საბოლოო სახეს მიიღებს ბიუროს მორიგ სხდომაზე, რომელიც დღეს გაიმართება. დღესვე გაირკვევა პარლამენტის რიგგარეშე სხდომის ჩატარების საკითხიც, რომელზეც ზემოთ აღნიშნული დადგენილების პროექტს ეყრება კენჭი. მეტი "დამაჯერებლობისთვის", იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გოჩა პაიჭაძე მოითხოვს, რომ პარლამენტის საგანგებო სხდომას პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეც დაესწროს. თუმცა, ამასთან დაკავშირებით ბიუროს წევრებს გუშინ კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

გუშინდელ შეკრებაზე ცალკეული ფრაქციების წარმომადგენლებმა მოითხოვეს, რომ რიგგარეშე სესიის თემატიკა ერთფეროვანი არ იყოს და მის დღის წესრიგში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც შევიდეს. კერძოდ, გაიჟღერა წინადადებამ, რომ კიდევ ერთხელ დაისვას საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამშვიდობო ძალებისა და სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხი, აგრეთვე - შეწყდეს მუშაობა რუსეთ-საქართველოს შორის "ჩარჩო-ხელშეკრულების" პროექტზე. უფრო შორს მიდიან "ტრადიციონალისტები": მათი თავკაცის, აკაკი ასათიანის თქმით, საქართველომ უნდა დატოვოს დსთ-ს რიგები და ვიდრე ამ ნაბიჯს გადადგამს, მოსკოვიდან თავისი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გამოიწვიოს.

ვინაიდან პოლიტიკურთან ერთად, მოსკოვი საქართველოს წინააღმდეგ ეკონომიკურ ინტერვენციასაც ეწევა, ამიტომ "ნაციონალები" და "გაერთიანებული დემოკრატები" "იტერასთან" მოლაპარაკებების შეწყვეტას და მის მიერ "თბილგაზის" "შთანთქმაზე" ერთწლიანი მორატორიუმის გამოცხადებას ითხოვენ.

პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე, რუსებს გარდა, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების წევრებსაც მაგრად შეუტიეს. "აღორძინების" წარმომადგენლის, ნოდარ ჯავახიშვილის განცხადებით, როდესაც თავდაცვის მინისტრი საფრენი აპარატების "რაგატკით" ჩამოგდებაზე საუბრობს, ეს უკვე "შაყირი" და ქვეყნის პრესტიჟის მასხრად აგდებაა. აქედან გამომდინარე, ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი დავით თევზაძის თანამდებობიდან გადადგომას მიიჩნევს საჭიროდ.

პარასკევს მომხდარ ინციდენტში ასევე სამხედროებს, ოღონდ რუსებს, ადანაშაულებს ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი. მას სურს, სჯეროდეს, რომ 23 აგვისტოს პანკისის ხეობის დაბომბვის თაობაზე პრეზიდენტმა პუტინმა არაფერი იცოდა და ეს ბარბაროსული აქტი მთლიანად რუსი სამხედროების "თვითშემქმედებაა". რაც შეეხება "იტერასთან" მოლაპარაკებების შეწყვეტას, სოციალისტური პარტიის თავკაცი "დემოკრატებისა" და "ნაციონალების" ამ წინადადებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება, რადგან, მისივე თქმით, პანკისის დაბომბვასთან "იტერას" საკითხი არავითარ კავშირში არ არის.

ბიუროს გუშინდელმა სხდომამ ორთქლის გამოშვების ფუნქცია უკვე შეასრულა. რეალურად რისი უნარი შესწევს საკანონმდებლო ხელისუფლებას, უახლოეს დღეებში გამოჩნდება.

Nova Vita, ანუ თერაპია მოქალაქეთა კავშირისათვის

თამაზ ხარაიშვილი

ოზურგეთი

ყველაზე გაბედულ პოლიტპროგნოზისტსაც კი გაუჭირდება, იწინასწარმეტყველოს ახლო წარსულში სტაბილურობისა და კეთილდღეობის გარანტის - მოქალაქეთა კავშირის მომავალი, მიუხედავად იმისა, რომ პარტიის აღდგინებარესტავრაცია საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს. როგორც სმკ-ს გურიის ორგანიზაციის თავმჯდომარე, პარლამენტარი ილია თავბერიძე აცხადებს, პარტიის ზედა ეშელონებში მიმდინარე პროცესებს სამხარეო და რაიონულ ორგანიზაციებზე დიდი ზეგავლენა არ მოუხდენია, პარტიის წევრთა ძალზე მცირე ნაწილი განუდგა სმკ-ს, კიდევ უფრო მცირე ნაწილი ყოყმანობს, როგორც იტყვიან, არც აქეთ არის და არც იქით, ამდენად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტრუქტურულ რეორგანიზაციას, ამ მიზნით მხარის სამივე რაიონულ ორგანიზაციაში დაინიშნა აღმასრულებელი მდივნები, რომლებიც უშუალოდ გაუწევენ კოორდინაციას პარტიის რიგების ფორმირებას; სექტემბრიდან დაიწყება სმკ-ში ახალი ცხოვრება, ანუ ხელახალი გაწევრიანება და დაზუსტება იმისა, თუ ვინაა პარტიის იდეებისა და პრინციპების ერთგული და მზად არის ზიდოს პარტიული ცხოვრების მძიმე ტვირთი, თან საბოლოოდ არ გადაუყვარებია მისი უზენაესი ხელისუფალი.

ილია თავბერიძე ასევე გადაჭრით უარყოფს მოარულ ხმებს იმის თაობაზე, რომ, თითქოსდა, საბიუჯეტო და საჯარო ორგანიზაციებში მოხდება სმკ-ში ძალდატანებითი გაერთიანება, ისევე, როგორც ადრე სკკპ წევრობა იყო სამსახურებრივი იერარქიის კიბეზე შემდგართათვის წინსვლის ერთ-ერთი გარანტი.

მოქალაქეთა კავშირს ამ ეტაპზე უმთავრეს ამოცანად მიაჩნია პარტიის ორგანიზაციული და სტრუქტურული დახვეწა და მომავალი საპარლამენტო არჩევნებისათვის ტაქტიკისა და სტრატეგიის განსაზღვრა. თუმცა, როგორც ზევით, ისე ქვევით, პარტიას, ჩანს, ექიმის ხელი და თერაპიული ჩარევა სჭირდება, რადგან ამ დღეებში გურიას ეწვია სმკ-ს მთავარი საბჭოს წევრი, გურიის კურატორი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი ამირან გამყრელიძე, რომელმაც მხარის სამივე რაიონში სამუშაო შეხვედრა გამართა პარტიის აქტივთან. მინისტრი მხოლოდ პარტიული მშენებლობის თემატიკით არ შემოფარგლულა, საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემებსაც გადასწვდა და ოზურგეთლებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანის შეძენაში დახმარებას შეჰპირდა; იგი, აგრეთვე, შეხვდა მეამბოხე პენსიონერებს, რომლებიც ამ ბოლო დროს პერმანენტულ საპროტესტო აქციებს მართავენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებისა და ფოსტის წინააღმდეგ. გამყრელიძემ განუმარტა პენსიონერებს, რომ პენსიების გაცემაში არსებულ ორთვიან ჩამორჩენაში ადგილობრივი ხელისუფლება უბრალოა, ხოლო, თუ რომელიმე სხვა უწყება სცოდავს, ეს საკითხი საგანგებოდ იქნება გამოკვლეული, დამნაშავე დაისჯება და პენსიონერებიც უკეთ იგრძნობენ თავს.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, საშა შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

პანკისის ხეობაში ოპერაცია დაიწყო

პირველი გვერდიდან

საქართველოს შეიარაღებული შენაერთები პანკისის ხეობის დასაწყისში, სამ სოფელში - ფიჩხოვანში, მაღრანსა და ზემო ალვანში განლაგდნენ, დაგეგმილია სპეცჯგუფების ხეობის სიღრმეში შესვლა და ხეობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გამაგრება. ზემო ალვანშია სამედიცინო ასეული და სამხედრო ჰოსპიტალიც. გუშინ ხეობაში შევიდა დამატებითი ჯავშანტექნიკაც.

საჭიროების შემთხვევაში, შს მინისტრს თავდაცვის სამინისტროს ძალების წვრთნებიდან მოხსნა და მათი კონკრეტულ ოპერაციაში გამოყენება შეუძლია.

გუშინ, საღამოს შვიდი საათისთვის ანტიკრიმინალური ოპერაციის მეთაურმა კახეთის რეგიონის პოლიციის შენობაში სხვადასხვა ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებს ოპერატიული თათბირი ჩაუტარა. ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, თათბირზე, რომელიც გასაიდუმლოებულ ვითარებაში ჩატარდა, ძალოვანებმა დეტალურად განიხილეს ანტიტერორისტული ოპერაციის გეგმა.

ქართველი ძალოვანები კახეთში ჩავიდნენ

მარიკა ამერელაშვილის ფოტო

ჩვენი ინფორმაციით, ოპერაციის პირველი ეტაპი დღეს განხორციელდება.

გუშინ გენერალურმა პროკურორმა რუსეთის სამხედრო შენაერთების მიერ პანკისის ხეობისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების დაბომბვის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა. საქმე, ქვემდებარეობის მიხედვით, გამოსაძიებლად გადაეცა უშიშროების სამინისტროს. გენერალური პროკურორის კვალიფიკაციით, 23 აგვისტოს, გამთენიისას განხორციელებული რუსული სამხედრო აგრესია სისხლის სამართლის კოდექსის ოთხი მუხლით შეფასდა - ფრენის საერთაშორისო წესების დარღვევა, საჰაერო საზღვრის უკანონო გადაკვეთა, განზრახ მკვლელობა, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული. უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ჯგუფი, რომელთან ერთადაც სხვა სამართალდამცველი სტრუქტურების წარმომადგენლებიც მუშაობენ, რუსეთის სამხედრო შენაერთებისთვის წაყენებული ბრალდებების გასამაგრებლად, მტკიცებულებებს აგროვებენ.

უცხოეთი

"დააკავეთ, განაიარაღეთ და რუსეთის პროკურატურას გადაეცით"

გუშინ საღამოს მოსკოვმა თბილისს ახალი მოთხოვნები წაუყენა. ჩეჩენი ტერორისტების უსისხლოდ განდევნა პანკისის ხეობიდან ჩვენთვის მიუღებელია, – ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში. ქართული მხარე, თურმე, ვალდებულია "ჩეჩენი ბოევიკები დააკავოს, განაიარაღოს და რუსეთის პროკურატურას გადასცეს". საინტერესოა, თავად რუსეთის სამართალდამცავები რატომ არ აკეთებენ ამავეს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე?

განცხადებაში ნათქვამია, რომ "რუსეთის ფედერაცია, პრინციპში, მიესალმება საქართველოს მთავრობის განზრახვას, პანკისის ხეობაში წესრიგი დაამყაროს", თუმცა, იქვე იგი საქართველოს მთავრობისაგან ყველა ღონისძიების მოსკოვთან შეთანხმებას მოითხოვს, რადგან "პრობლემა პირდაპირ კავშირშია რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოებასთან". მას შემდეგ, რაც 1999 წელს რუსეთმა სისხლიანი სამხედრო კამპანია დაიწყო ჩეჩნეთში, საქართველოს საზღვრის უშუალო სიახლოვეს, არა გვგონია, ერთხელ მაინც აზრად მოსვლოდა თავისი მოქმედებების საქართველოსთან შეთანხმება, მიუხედავად იმისა, რომ კამპანია "პირდაპირ კავშირში იყო საქართველოს უსაფრთხოებასთან". მას მერე საქართველო სულ მიესალმება რუსეთის მცდელობას, წესრიგი დაამყაროს საკუთარ ტერიტორიაზე და ბოლო მოუღოს ჩეჩენი ბოევიკების გადმოსვლას საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ ამაოდ. მართლაც საინტერესოა, თუ საქართველო პასუხს აგებს საკუთარი ტერიტორიიდან რუსეთში ბოევიკების გადასვლაზე, რატომ რუსეთი არ აგებს პასუხს რუსეთიდან საქართველოში შეიარაღებული ხალხის ინფილტრაციაზე, ნუთუ ჩეჩნეთში მდგომ 80-ათასიან რუსულ არმიას საზღვრის 80 კილომეტრის ჩაკეტვა არ შეუძლია?

განცხადებაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი რუსეთის ავიაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის დაბომბვის შესახებ.

რეფერენდუმი აზერბაიჯანში

გუშინ აზერბაიჯანში გაიმართა რეფერენდუმი, რომელზეც მოსახლეობას შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებებისათვის უნდა ეყარა კენჭი.

ხელისუფლების მტკიცებით, ცვლილებებმა აზერბაიჯანში დემოკრატიის განმტკიცებას უნდა შეუწყოს ხელი. ოპოზიციური პარტიების აზრით კი, რეფერენდუმის ნამდვილი მიზანი ალიევის ხლისუფლების განმტკიცება და მისი მომავალში შვილისათვის გადასაცემად მომზადებაა. ამ მოსაზრებებს ნაწილობრივ აშშ და ევროპის საბჭოც იზიარებენ.

რეფერენდუმზე განსახილველად გამოტანილ 39 საკონსტიტუციო ცვლილებას შორის ყურადღებას იქცევს სამი ძირითადი საკითხი: პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევის წესის ცვლილება და პრეზიდენტის არაქმედუნარიანობის შემთხვევაში ხელისუფლების გადაცემის წესი.

პრეზიდენტს აქამდე საყოველთაო არჩევნებზე ხმათა 2/3-ით ირჩევდნენ. შემოთავაზებული შესწორების თანახმად, ეს რაოდენობა 50 პროცენტამდე უნდა შემცირდეს.

პარლამენტის არჩევა აზერბაიჯანში, ისევე როგორც თითქმის მთელ დანარჩენ ყოფილ საბჭოთა კავშირში, მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემით ხდება. ახალი პროექტით, პროპორციული საარჩევნო სისტემა უნდა გაუქმდეს. ოპოზიციის აზრით, ეს სერიოზულად ამცირებს არჩევნებში მათი წარმატების შანსს.

მესამე ცვლილებამ ყველაზე მეტი პროტესტი გამოიწვია. თუ აქამდე, პრეზიდენტის არაქმედუნარიანობის შემთხვევაში, მის პოსტს პარლამენტის სპიკერი იკავებდა, ახალი წესით, "შემცვლელის" როლში უკვე პრემიერ-მინისტრი გამოვა. აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ სპიკერს პარლამენტი ირჩევს, ხოლო პრემიერს – პრეზიდენტი ნიშნავს. ექსპერტების აზრით, საჭირო მომენტში ალიევი თავის ვაჟს დანიშნავს პრემიერად და ამით ხელისუფლების მისთვის გადაცემას უზრუნველყოფს.

რეფერენდუმის შედეგები დღეს გამოქვეყნდება. უკვე გუშინ გახდა ცნობილი, რომ რეფერენდუმში ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა მიიღო მონაწილეობა და იგი ჩატარებულად გამოცხადდა.

პალესტინელებმა ამერიკის წინადადება უარყვეს

შეერთებულმა შტატებმა პალესტინის ადმინისტრაციას პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღება შესთავაზა. როგორც ცნობილია, ბოლო რამდენიმე თვეა, ვაშინგტონი იასირ არაფატის პოზიციების შესუსტებას ცდილობს და ამ მიზნით პალესტინის ადმინისტრაციის რეფორმირებას მოითხოვს. პრემიერის პოსტის შემოღებაც შემოთავაზებული რეფორმების ნაწილი იყო. მით უმეტეს, რომ მომავალი წლის იანვარში პალესტინაში დაგეგმილ არჩევნებში არაფატს წარმატებას ერთხმად უწინასწარმეტყველებენ.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ პალესტინის ადმინისტრაციამ ვაშინგტონის ამ მოთხოვნას უარით უპასუხა. ამის შესახებ პალესტინის მუნიციპალურ საქმეთა მინისტრმა საებ ერეკატმა პარიზში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

ეკონომიკა

ნიუ-იორკის პროკურორი თანამედროვე მაფიის წინააღმდეგ

თორნიკე შარაშენიძე

კორპორაციული ამერიკის საქმეებით სამართალდამცავთა და მედიის დაინტერესებამ კიდევ ერთი დიდი თაღლითობა გამოავლინა, რომელშიც აშშ-ს ორი უმსხვილესი კომპანიაა გახვეული. საუბარია კავშირგაბმულობის მონსტრ "ეი-ტი ენდ ტისა" და მსოფლიოში უდიდესი ფინანსური ჯგუფის, "სიტიგრუპის" განყოფილება "სალომონ სმიტ ბერნიზე." ბრალდებები სიახლითა და ორიგინალობით არ გამოირჩევა: უპატიოსნო გარიგება და მილიონების გაკეთება აქციონერთა ხარჯზე.

ნიუ-იორკის გენერალურმა პროკურორმა ელიოტ შპიცერმა უკვე მოითხოვა "ეი-ტი ენდ ტისაგან" ყველა დოკუმენტაცია მასა და "სალომონ სმიტ ბერნის" შორის დადებულ გარიგებაზე. ორი მხარე ერთიმეორეს ორი წლის წინ წინ დაუკავშირდა, როცა "ეი-ტი ენდ ტიმ" თავისი მობილური კავშირგაბმულობის განყოფილების აქციათა საჯარო გაყიდვა გადაწყვიტა. ამ საქმეში კომპანიას, ცხადია, დამზღვევი პარტნიორები ესაჭიროებოდა და მათგან ერთ-ერთი სწორედ "სალომონ სმიტ ბერნი" აღმოჩნდა. ამაში უკანონო ნამდვილად არაფერია, მაგრამ როგორც "უოლ-სტრიტ ჯორნალი" ირწმუნება, "სიტიგრუპის" შტო მხოლოდ იმის გამო იქნა არჩეული, რომ მისმა ანალისტმა, საქმიან სამყაროში კარგად ცნობილმა ჯეკ გრებმენმა "გული იბრუნა" "ეი-ტი ენდ ტისკენ" და მას რეიტინგი აუწია. არადა, იქამდე წლების განმავლობაში გრებმენი ერთობ სკეპტიკურად იხსენიებდა აშშ-ს უდიდესი კავშირგაბმულობის კომპანიას და ამ უკანასკნელის აქციების შეძენას არავის ურჩევდა.

ამ გარიგებით, ცხადია, ორივე მხარემ იხეირა. "სალომონ სმიტ ბერნიმ" კარგ საქმეს გამოჰკრა ხელი, "ეი-ტი ენდ ტის" აქციებმა კი საგრძნობლად აიწია. მაგრამ, ნუთუ ასეთი მასშტაბის აფიორა ბანკის მხრიდან მხოლოდ ჯეკ გრებმენის დონეზე გადაწყდა? ალბათ, არა. სწორედ ამიტომ "უოლ-სტრიტ ჯორნალი" ვარაუდობს, რომ საქმეში თავად "სიტიგრუპის" თავკაცი სენფორდ ვაილი ჩაერია და გრებმენი აიძულა, "საჯაროდ დამტკბარიყო" "ეი-ტი ენდ ტისთან" მიმართებაში. ამ "დატკბობით" მიღწეულმა გარიგებამ "სალომონ სმიტ ბერნის" საბოლოოდ დაუმკვიდრა უპირველესი ექსპერტის რეპუტაცია აქციათა საჯარო გაყიდვის სფეროში და 45 მილიონი დოლარის სუფთა მოგებაც მოუტანა.

"მისტერ ვაილის არც ერთი ანალისტისათვის არაფერი უბრძანებია და არასოდეს ჩარეულა მათ საქმეებში," – ირწმუნება "სალომონ სმიტ ბერნის" წარმომადგენელი. მაგრამ ელიოტ შპიცერს, რომელმაც ანალოგიური საქმე უკვე გამოიძია "მერილ ლინჩთან" მიმართებაში და ეს უკანასკნელი 100 მილიონი დოლარით დააჯარიმა, ეს ფიცი ნამდვილად ვერაფერში დაარწმუნებს.

აღსანიშნავია, რომ გრებმენმა ერთი კვირის წინ მიატოვა "სალომონ სმიტ ბერნი," რაც მთელი საქმიანი სამყაროსათვის შოკად იქცა. გრებმენი უპირველეს ექსპერტად იყო მიჩნეული კავშირგაბმულობის სფეროში და მისი წასვლით უოლ-სტრიტზე სერიოზული ვაკუუმი წარმოიქმნა. თუმცა, ანალისტი თავისი ნებით არ წასულა – ბოლო ხანს მას გვარიანი კრიტიკა ხვდებოდა "უორლდკომის" საქმესთან დაკავშირებით. გრებმენს ხომ ერთხელაც არ დასცდენია ძვირი ამ კომპანიაზე, სანამ ეს უკანასკნელი ოფიციალურად არ გაკოტრდა. ცხადია, "უორლდკომის" გამო "სალომონ სმიტ ბერნიც" დაიჩაგრა და ეს უკანასკნელი ახლა აშკარად ცდილობს, ყველაფერი თავის ანალისტს გადააბრალოს, რის გამოც მას კომპანიიდან წასვლა აიძულა. სავარაუდოდ, "სალომონ სმიტ ბერნი" და მთლიანად "სიტიგრუპი" ეცდება, "ეი-ტი ენდ ტის" ამბავიც გრებმენს შეახოცოს.

მოკლედ, ნიუ-იორკის გენერალურმა პროკურორმა, პრეზიდენტის მხარდაჭერით, კორპორაციულ თაღლითობას ნამდვილი ომი გამოუცხადა. უნდა ითქვას, რომ თავის დროზე სწორედ მისმა კოლეგებმა და წინამორბედებმა დაამარცხეს ალ კაპონეს, ჰოლანდიელი შულცისა და სხვათა მაფიოზური დაჯგუფებები. ვნახოთ, ახლა რა მოხდება.

Coca-Cola სავაჭრო ნიშანს ცვლის

სოფიკო ოხანაშვილი

მსოფლიოში გამაგრილებელი სასმელების წამყვანმა კომპანიამ Coca-Cola-მ განაცხადა, რომ 2003 წელს სავაჭრო ნიშნები უნდა შეცვალოს. უცვლელი დარჩება Coca-Cola-სთვის ისეთი ტრადიციული ელემენტები, როგორებიცაა შრიფტი, ფერი და ბოთლის კონტურები. აშშ-ში Coca-Cola-ს შეფუთვებზე ძველებურად იქნება სიტყვა "classic". სიახლეს დინამიური ხაზის გაჩენა წარმოადგენს. წარწერა Coca-Cola-ს ფონზე თეთრი და ყვითელი ფერის ზოლები გამოჩნდება. ჯერჯერობით არც ერთი პროდუქტი განახლებული დიზაინით არ არის გამოშვებული. ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს. ახალი დიზაინის წარდგენა და პროდუქტის გამოშვება 2003 წლიდან დაიწყება. სპეციალისტების აზრით, სავაჭრო ნიშნის დიზაინის შეცვლით, კომპანია ბაზარზე თავისი პოზიციის გაუმჯობესებას ცდილობს.

Coca-Cola-ს სათავო ოფისის მთავარი მიზანია, რომ Coca-Cola იყოს არა მარტო უბრალოდ გამაგრილებელი სასმელი, არამედ ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. Always, enjoy, Life Tastes good და სხვა საინტერესო დევიზებით (სლოგანებით) Coca-Cola წლების განმავლობაში ცდილობდა თავის დამკვიდრებას, მომხმარებლამდე გზის გაკვლევას და მისი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ქცევას. სავაჭრო ნიშანი კომპანიის ღირსება და განუყოფელი ნაწილია. ამიტომ, სლოგანების მსგავსად, სავაჭრო ნიშნის დიზაინიც მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია. Coca-Cola-ს შემთხვევაშიც ასე მოხდა. კომპანიის სათავო ოფისის განცხადების თანახმად, 2003 წელს Coca-Cola-ს სავაჭრო ნიშნის დიზაინში კვლავ გამოჩნდება დინამიური ხაზი, რაც წლების განმავლობაში ამ სასმელის სავაჭრო ნიშნის კუთვნილება იყო. დინამიური ხაზი Coca-Cola-ს სავაჭრო ნიშნის დიზაინიდან რამდენიმე წლის წინათ გაქრა. იმ დროს აქცენტი გაკეთდა კონტურულ ბოთლზე, რაც ასევე Coca-Cola-ს დიზაინის განუყრელი ნიშანია. სლოგან enjoy-ს დროს საზოგადოების ყურადღება Coca-Cola-ს ახდილი ბოთლიდან მადისაღმძვრელად გადმომდინარე სითხემ მიიქცია. ბოლო ცვლილება 2000 წელს განხორციელდა. ამჯერად, მხოლოდ სლოგანი შეიცვალა, დიზაინი კი დღემდე უცვლელია. სულ მალე კი Coca-Cola-მ ხალხს, გართობის ნაცვლად, ცხოვრებით დატკბობისკენ მოუწოდა. Enjoy - Life Tastes good-მა შეცვალა.

სააგენტო AP-ის ინფორმაციით, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ სავაჭრო ნიშნის დიზაინის შეცვლით კომპანია ცდილობს, ბაზარზე თავისი პოზიცია გააუმჯობესოს. კომპანიის სავაჭრო საქმიანობა მთელ მსოფლიოში 1990-იანი წლების განმავლობაში სტაბილურად იზრდებოდა. თუმცა, შარშან Coca-Cola-ს გაყიდვის მოცულობა აშშ-ში ორი პროცენტით, ხოლო კომპანიის წილი გაზიანი სასმელების ამერიკულ ბაზარზე 0,5 პროცენტით შემცირდა.

სავაჭრო ნიშნის დიზაინში სიახლის შემოტანას მარკეტინგის ჩვეულებრივ მეთოდად მიიჩნევენ Coca-Cola Bottlers georgia-ში, რადგან არაერთმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ სლოგანს და დიზაინს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რაც როგორც მომხმარებლის რაოდენობას, ასევე ბიზნესის წარმატებასაც ზრდის. ხოლო ამჯერად განსახორციელებელი სიახლით, შპს Coca-Cola-ს წარმომადგენლის გოგა რობაქიძის აზრით, კომპანია ცდილობს, ძველ იერსახეს დაუბრუნდეს, ანუ 2003 წელს Coca-Cola მომხმარებლის წინაშე კვლავ ტრადიციული დინამიური ხაზით წარსდგება. **"ყოველწლიურად სიახლის შემოტანა მარკეტინგის განუყოფელი ნაწილია. კომპანიის სათავო ოფისმა გადაწყვიტა, სიახლე შეეტანა თავისი სავაჭრო ნიშნის დიზაინში. მთელი მსოფლიოს მასშტაბით სპეციალური გამოკვლევები ჩატარდა, რის შედეგადაც მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ის დინამიური ხაზი, რომელიც წლების განმავლობაში Coca-Cola-ს განუყოფელი ნაწილი იყო, კვლავ აღედგინათ Coca-Cola-ს სავაჭრო ნიშანზე. ცოტა სიახლეებია ფერშიც. აქცენტი კვლავ გაკეთდება კონტურულ ბოთლზე, იმიტომ, რომ კონტურული ბოთლიც Coca-Cola-ს სავაჭრო ნიშნის განუყოფელი ნაწილია. დინამიური ხაზის კვლავ გამოჩენა, ნაწილობრივ, ნოსტალგიური ნოტასაც შეიცავს, იმიტომ, რომ წლების მანძილზე დინამიური ხაზის მქონე დიზაინი ასოცირდებოდა Coca-Cola-სთან. სავაჭრო ნიშნის, ასე ვთქვათ, განახლებული სახე ხალხს ძველ პერიოდს გაახსენებს. ამ ცვლილების ერთ-ერთი მიზანი მომხმარებელთან დაახლოება იყო,"** – აღნიშნა გოგა რობაქიძემ.

საქართველოშიც იზიარებენ ამერიკელი სპეციალისტების იმ მოსაზრებას, რომ სავაჭრო ნიშნის დიზაინში განხორციელებულმა სიახლემ, შესაძლებელია, ფართო მომხმარებელში დადებითი რეაქცია, ხოლო ბიზნესში სერიოზული ზრდა გამოიწვიოს. გოგა რობაქიძე არც იმას გამორიცხავს, რომ ამ სიახლის წყალობით Coca-Cola-მ პოზიციები გაიმაგროს ამერიკულ ბაზარზე. ამასთანავე, შპს Coca-Cola-ს წარმომადგენელი წინასწარ ვერ ამბობს, თუ რა შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ამ სიახლემ ქართულ ბაზარზე. თუმცა, იმას კი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართველი მომხმარებელი დიზაინში განხორციელებულ სიახლეებს დადებითად აღიქვამს. **"ახლა დასაბუთებით იმის თქმა, რომ ამა და ამ პროცენტით გაიზრდება პროდუქციის გაყიდვა და ბიზნესი ასე და ასე გაიზრდება, ცოტა ძნელია. თუმცა, ჩემი აზრით, ქართველი მომხმარებელი დიზაინში განხორციელებულ სიახლეებზე პოზიტიურად რეაგირებს. რა თქმა უნდა, ამან შეიძლება ბიზნესში სერიოზული ზრდაც გამოიწვიოს და მომხმარებლის რაოდენობაც საგრძნობლად გაზარდოს",** - წარმატების იმედით განაცხადა გოგა რობაქიძემ.

საქართველოში Coca-Cola-ს კომპანია 1993 წელს დაარსდა. მაშინ მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე გავრცელებულმა გამაგრილებელმა სასმელმა მომხმარებლები თავისი ცნობილი სლოგანით always, ანუ მუდამ Coca-Cola-თი მიიზიდა. მას შემდეგ Coca-Cola-ს სავაჭრო ნიშანმა არაერთი ცვლილება განიცადა. 2003 წელს ქართული Coca-Cola 10 წლის იუბილეს იზეიმებს. იგი საქართველოს ბაზარზე დღესაც უცხოური "წარმოშობის" ერთადერთ სასმელად რჩება.

სამართალი

ძებნილ ყაჩაღს ბორჯომში მიაგნეს

ორი დღის წინ გორისა და ბორჯომის რაიონების სამართალდამცველებმა, ერთობლივი ოპერატიული ღონისძიების შედეგად, ყაჩაღობისთვის ძებნილი ლევან სამადალაშვილი დააკავეს. პოლიციელებსა და სამადალაშვილს ზუსტად ერთი წლის წინ ხელჩართული ომი ჰქონდათ.

28 აგვისტოს სამადალაშვილმა ავტომატის მუქარით მობილური ტელეფონი წაართვა გორელ ზურაბ ბახტაძეს. იმავე დღეს, რამდენიმე საათის შემდეგ, თავდამსხმელმა, ისევ ავტომატის მუქარით, ილია მეტრეველს "ბმვ"-ს მარკის ავტომანქანა მოსტაცა. თუმცა, მოპარული მანქანით შორს წასვლა ვერ მოასწრო, რადგან პოლიციამ დამყაჩაღებელს ცხელ კვალზე მიაგნო. დაკავებისას ლევან სამადალაშვილმა პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია. პოლიციელებსა და ყაჩაღს შორის გამართული ხელჩართული ბრძოლა სამადალაშვილის დაჭრით დასრულდა.

გორის რაიონულმა სასამართლომ ერთსა და იმავე დღეს ორი სხვადასხვა ყაჩაღობის ჩამდენს აღმკვეთი ღონისძიება – შეფარდებული სამთვიანი პატიმრობა გაუუქმა. გორის პროკურატურამ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში საჩივრით გააპროტესტა. ზედა ინსტანციის სასამართლომ პროკურატურის მოთხოვნა დააკმაყოფილა და ლევან სამადალაშვილისთვის სამთვიანი პატიმრობის შეფარდების გადაწყვეტილება გამოიტანა. თუმცა, მას შემდეგ სამადალაშვილი თვალით აღარავის უნახავს. იგი ძებნილად გამოცხადდა.

ზუსტად ერთი წლის თავზე, სამართალდამცველებმა ძებნილ "მსხვერპლს" ბორჯომში მიაგნეს. დაკავებულს ამჯერად მათთვის არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია და მათ ზედმეტი გაწევ-გამოწევის გარეშე დანებდა.

ბრილიანტები პარიზის აეროპორტში აღმოაჩინეს

აგვისტოს დასაწყისში პარიზის "შარლ დე გოლის" სახელობის აეროპორტიდან მოპარული 3 მილიონი ევროს ღირებულების ბრილიანტების მსხვილი პარტიის სამალავი პოლიციამ პარიზის სიახლოვეს აღმოაჩინა.

პარიზის პოლიციის მონაცემებით, ბრილიანტები ტრანზიტით მონაკოს საგრაფოდან, პარიზის გავლით, ბელგიაში გადაჰქონდათ. ძვირფასი ტვირთი პარიზის აეროპორტის თანამშრომელმა მოიპარა და შესანახად გადასცა პარტნიორს, ასევე აეროპორტის თანამშრომელს. ერთ-ერთი დამნაშავე პოლიციამ დაიჭირა.

ძვირფასი ქვები ბელგიის ქალაქ ანტვერპენის იუველირის კუთვნილება იყო და მონაწილეობდა მონაკოს საგრაფოში გამართულ ძვირფასეულობის ერთ-ერთ ყველაზე ფეშენებელურ გამოფენაში.

ამერიკელი სამართალდამცველები შეშფოთებულნი არიან

კალიფორნიის სან-დიეგოს სასამართლომ 50 წლის დევიდ ვეისტველდი შვიდი წლის ამერიკელი გოგონას - დანიელ ვანდამის მკვლელობაში დაადანაშაულა. დანიელ ვანდამი იანვრის თვეში დაიკარგა და მისი გვამი რამდენიმე კვირის წინათ იპოვეს.

დევიდ ვეისტველდს, რომელსაც ასევე ბრალი დასდეს საბავშვო პორნოგრაფიის ნიმუშების შენახვაში, სასამართლო განაჩენს 28 აგვისტოს გამოუტანს. ბრალმდებლებმა უკვე მოითხოვეს განსასჯელის სიკვდილით დასჯა.

ბრალმდებლებმა სასამართლოს წარუდგინეს ვეისტველდის საძინებელი ოთახიდან ამოღებული დანიელ ვანდამის თმის ღერები და თითის ანაბეჭდები.

აშშ-ს ფედერალური საგამოძიებო ბიურო შეშფოთებულია ბავშვთა გატაცებების გახშირების გამო. ამერიკელ სამართალდამცველთა მონაცემებით, ამერიკაში გატაცებულია 725 ათასი ბავშვი - უმეტეს შემთხვევაში, მცირეწლოვანი გოგონები, რომლებიც სექსუალურ მანიაკთა მსხვერპლნი გახდნენ. ძალიან იშვიათად ბავშვებს ფულის გამოძალვის მიზნითაც იტაცებენ.

გია ნოდია: ოპოზიცია რთულ ვითარებაშია

პირველი გვერდიდან

მეორეს მხრივ, როცა ქვეყანას ჰყავს გამოკვეთილი მტერი და მისგან კონკრეტული აგრესიაა მოსალოდნელი, ბუნებრივია, რომ მთელი ქვეყანა ხელისუფლების გარშემო მობილიზდება, თუ ეს ხელისუფლება აშკარად უაზრო ქმედებებს არ სჩადის.

ძნელია მოვლენების წინასწარმეტყველება, მაგრამ უფრო მეტი შანსია, რომ მეორე ვარიანტი განხორციელდეს. ანუ, შესაძლებელია, რომ ხალხმა, მართლაც, გვერდზე გადადოს ხელისუფლებისადმი უკმაყოფილება და გადაწყვიტოს, რომ ახლა კრიტიკის დრო არ არის. ხოლო ის ფაქტი, რომ კონკრეტული სცენარები ქვეყნდება და ღიად ინერება, რომ რუსეთის მთავარი სამიზნე არის არა პანკისი, არამედ შევარდნაძის შეცვლა, ამ ვარიანტის განხორციელებას ხელსაყრელ ფონს უქმნის.

- ანუ ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც შევარდნაძის წინააღმდეგ გამოვლენ, ავტომატურად მოინათლებიან ანტისახელმწიფოებრივ ძალებად?

- რა თქმა უნდა, როცა აქცენტი გადადის საგარეო საფრთხეზე, იქ მეტისმეტად აშკარა და მწვავე დაპირისპირება საკუთარ ხელისუფლებასთან დაახლოებით ასეთ კვალიფიკაციას იღებს. ბუნებრივია, ასეთი კვალიფიკაციის მინიჭებას, პირველ რიგში, ხელისუფლება შეეცდება, მაგრამ, რაც მთავრია, მას საზოგადოებაც უფრო ადვილად დაიჯერებს.

- გარდა ამისა, ასეთ სიტუაციაში უფრო ხომ არ გაუადვილდება შევარდნაძეს, რომ აქტიური ოპოზიციური ძალები დასავლეთის თვალში დესტაბილიზაციის მოსურნეებად გამოიყვანოს, ხოლო საკუთარი თავი სტაბილურობის სიმბოლოდ წარმოაჩინოს?

- მოქმედი პრეზიდენტი, ვინც არ უნდა იყოს ის, თავისთავად არის სტაბილურობის გარანტი. ამიტომ, განსაკუთრებით ასეთ სიტუაციაში, ძალიან გააქტიურებული წინააღმდეგობა პრეზიდენტის მისამართით ცუდად იქნება შეფასებული.

თუ გავიხსენებთ აზერბაიჯანის მაგალითს, ბოლო არჩევნების შემდეგ, როცა შედეგები მთლიანად გაყალბდა და, შესაბამისად, ოპოზიციას სერიოზული საფუძველი ჰქონდა მასობრივი პროტესტის გამოსახატად, მაშინ მათ ამერიკის საელჩო და დასავლეთის ძალები აჩერებდნენ, რადგან დესტაბილიზაციის ეშინოდათ. საქართველოში დღეს გაცილებით უფრო რთული ვითარებაა, ამიტომ, მართალია, ხელისუფლების კრიტიკა საკმაოდ ბუნებრივად აღიქმება, მაგრამ მწვავე გამოსვლებს შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით არავინ წაახალისებს.

- ანუ ხელისუფლება შეეცდება, მაქსიმალურად გამოიყენოს შექმნილი სიტუაცია და სტატუს კვო შეინარჩუნოს.

- ხელისუფლება სტატუს კვოს შენარჩუნებას მანამ შეძლებს, სანამ მთავარი თემა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების დამომბვა იქნება, ხოლო მოსახლეობის მთავარი შიში დაკავშირებული იქნება რუსეთის აგრესიასთან და არა ხელფასებისა და პენსიების დაგვიანებასთან.

მაგრამ როცა ვითარება ჩაცხრება, მაშინ საზოგადოებამ, შეიძლება, პირიქით, გაიხსენოს ხელისუფლების საკმოდ წინააღმდეგობრივი ქმედება და უუნარობა ქვეყანაში შექმნილი კრიზისის დროს და მის წინააღმდეგ უფრო ცუდად განეწყოს.

- რამდენიმე დღის წინ მთავრობა, სტაბილურობის სანაცვლოდ, "იტერას" "თბილგაზსა" და "აზოტს" უსასყიდლოდ სთავაზობდა. რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ მყიფე სტაბილურობის დროებით შესანარჩუნებლად ის კიდევ უფრო მეტ დათმობებზე წავა რუსეთთან.

- სტაბილურობის შესანარჩუნებლად, შესაძლოა, რაღაც დათმობაზე მართლაც წახვიდე და დრო იყიდო, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იმ დროში რაღაცას აკეთებ და გრძელვადიან პერსპექტივაზე ზრუნავ. ანუ, თუ რაღაცას კარგავ, მის მაგივრად რაღაც მნიშვნელოვანს იგებ კიდევაც. მაგრამ ჩვენი ხელისუფლების მოქმედებებში არანაირი შორს მიმავალი გეგმა არ ჩანს, ის მხოლოდ და მხოლოდ რაღაც დროით სტატუს კვოს შენარჩუნებაზე ზრუნავს.

- როგორ გგონიათ, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს "იტერას" შემოსვლას საქართველოს გაზის ბაზარზე? თუ "იტერა" მართლაც წარმოადგენს რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკურ ბერკეტს, რომელსაც ის საჭიროების შემთხვევაში აამოქმედებს, რატომ იქნება ის გაზის უწყვეტი მოწოდების გარანტი?

- ამ შემთხვევაშიც, შეგვიძლია, ორი ვარაუდი დავუშვათ.

არის თუ არა "იტერა" ის ორგანიზაცია, რომელიც წმინდა გეოპოლიტიკური მიზნების მატარებელია და შეუძლია, ამ მიზნებს თავისი კომერციული მოგება შესწიროს? თუ ისევ აზერბაიჯანის მაგალითს ავიღებთ, იქ "ლუკოილის" შესვლამ და მისმა ჩართვამ სხვადასხვა პროექტებში მართლაც პოზიტიური როლი ითამაშა. რადგან, თუ მანამდე რუსეთს, გეოპოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, აზერბაიჯანში დესტაბილიზაცია აძლევდა ხელს, მოგვიანებით უკვე გაჩნდა ინტერესთა ჯგუფები, რომელთაც აზერბაიჯანში სტაბილიზაცია სჭირდებოდათ, რადგან თავად იყვნენ ჩართულები ამ ქვეყნის ეკონომიკურ პროექტებში.



მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის დირექტორი გია ნოდია

მარიკა ამპარელაშვილის ფოტო

ასე რომ, თეორიულად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ "იტერას" შემოსვლა საქართველოში, შესაძლოა, ასეთივე დადებითი შედეგებით დამთავრდეს, ანუ თუ ის კომერციული ორგანოა, მაშინ სტაბილურობა საქართველოში მის ინტერესებშიც უნდა შედიოდეს. რაც ნიშნავს იმას, რომ რუსეთში, შესაძლოა, გაჩნდნენ ძალები, რომლებიც საქართველოს ნორმალური განვითარებით დაინტერესდებიან. ეს თავისთავად ლოგიკური ვარაუდია.

მაგრამ, შეიძლება, ეს ასე არ იყოს, თუკი "იტერას" ხელმძღვანელობა ცალსახად პოლიტიზირებულია და მას რუსეთის ხელისუფლება ათამაშებს. ერთი ფაქტია, რომ "იტერას" მჭიდრო ურთიერთობა აქვს რუსეთის ხელისუფლების გეოპოლიტიკურად მოაზროვნე ნაწილთან, მაშინ, როცა "ლუკოილის" ხელმძღვანელობა ჩერნომირდინთან იყო დაახლოებული, რომელსაც პრაგმატული, შესაძლოა, კორუფციული, მაგრამ მაინც ეკონომიკური ინტერესები ამოძრავებდა.

- ამ ეტაპზე რამდენად შესაძლებელია, რომ რუსეთთან, რომელიც დაბომბვების ფაქტსაც კი არ აღიარებს, ურთიერთობა გამოსწორდეს და დაპირისპირება კიდევ უფრო საშიშ კონდიციამდე არ გამწვავდეს?

- რუსეთის მთავარი წამახალისებელი ფაქტორი - ეს საქართველოს შინაგანი სისუსტე და გაურკვევლობაა. კიდევ იმის რწმენა, რომ საქართველოში დესტაბილიზაციის გამოწვევა ადვილია.

ის, რაც გუშინ რუსეთმა ჩაიდინა, თვითონ მასაც საკმაოდ საჩოთირო და რთულ სიტუაციაში აყენებს. თავისთავად ის ფაქტი, რომ რუსეთის ოფიციალური პირები უარყოფენ, საქართველოს ტერიტორია რუსეთის ავიაგამანადგურებლებმა რომ დაბომბეს, რუსეთს კრიმინალურ სახელმწიფოდ წარმოაჩენს.

ერთია, როცა ამერიკა ბომბავს ავღანეთს, რადგან ის ასაბუთებს ამის საჭიროებას და დიპლომატიურ მხარდაჭერასაც პოულობს. ხოლო როცა ერთი სახელმწიფო ბომბავს მეორეს და შემდეგ ამ ფაქტს უარყოფს, ეს ფაქტი მას კრიმინალური სახელმწიფოს იმიჯს უქმნის.

რუსეთს დღეს ამერიკასა და დასავლეთთან კარგი ურთიერთობა სჭირდება, ასე რომ, ის არ წავიდოდა ამ ნაბიჯებზე, რომ არ სჯეროდეს, საქართველოში სერიოზულ პოლიტიკურ ცვლილებებს ასეთი ავანტიურითაც მიაღწევს. მას იმედი აქვს, საქართველოს ხელისუფლება იმდენადაა დასუსტებული, რომ ასეთი სულელური ნაბიჯებითაც შეუძლია, სერიოზული დაბნეულობა და დესტაბილიზაცია გამოიწვიოს.

- გამოიწვევს თუ არა პანკისის დაბომბვა, რომელიც წინა შემთხვევებისაგან განსხვავებით, მსხვერპლით დამთავრდა, იმ საერთაშორისო რეზონანსს, რომელიც რუსეთს უკან დაახევინებს?

- რუსეთი საქართველოზე, ალბათ, უფრო სერიოზულ და გამანადგურებელ დარტყმებს ვერ განახორციელებს. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ასეთ თამაშებს ის კვლავ გააგრძელებს, რადგან სჯერა, რომ ამით კონკრეტულ შედეგებს მიიღებს.

ბოლო დროს გახშირებული დაბომბვებით და პროვოკაციებით რუსეთმა შეძლო, შიშის ატმოსფერო შეექმნა, შესაბამისად, მიაღწია იმას, რომ საქართველოს ხელისუფლება "იტერასათვის" "თბილგაზისა" და "აზოტის" გადაცემაზე დაეყოლიებინა.

თუ რუსეთისთვის პროგრამა-მაქსიმუმი, მაგალითად, ხელისუფლებიდან შევარდნაძის მოშორება და იქ რუსეთისათვის უფრო მისაღები პოლიტიკოსის მოსვლაა, სრულმასშტაბიანი აგრესიის განხორციელება მას არ სჭირდება. მას მიაჩნია, რომ ამისათვის დროდადრო განხორციელებული დაბომბვებიც საკმარისია.

არა მგონია, რომ რუსეთს ყოველთვის ყველაფერი აქვს გათვლილი, შეიძლება ბევრი რამ სპონტანურადაც ხდება. მაგრამ რუსეთის პოლიტიკური ელიტის ზოგადი განწყობა მაინც ცხადია - საქართველოს უნდა მიაწვე და ამით რაღაცას მიაღწევ. ამიტომ ასეთი ტიპის მოქმედებები რუსეთის მხრიდან დრო და დრო ისევ მოსალოდნელია.

- ასეთ შემთხვევაში, როგორი უნდა იყოს ხელისუფლების საპასუხო რეაქცია რუსეთის პროვოკაციებზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს პროვოკაცია სისხლით მთავრდება?

- ყველაზე საუკეთესო, რისი გაკეთებაც ამ ხელისუფლებას შეუძლია, ეს კარგი დიპლომატიური ნოტის მომზადებაა. ხელისუფლების რეაქცია პანკისის მოვლენებზე ძალიან სასაცილო იყო. ჯერ შევარდნაძე ამბობს, რომ სიტუაციის გამწვავება არ უნდა, თორემ რუსული მფრინავი ობიექტების ჩამოგდება რა პრობლემაა. ხოლო შემდეგ მისი მინისტრი აცხადებს, "რაგატკით" ხომ არ ჩამოვაგდებ ამ მფრინავ ობიექტებსო. ვინც ოდნავ მაინც იცნობს სიტუაციას ქართულ ჯარში, კარგად იცის, რომ ვერაფერსაც ვერ ჩამოვაგდებთ. ასეთი უცნაური და სასაცილო რეაქციები კიდევ უფრო სასაცილოდ აქცევს ხელისუფლებას.

- "ნაციონალური მოძრაობა" გამოვიდა ინიციატივით: ოპოზიციური პარტიები გაერთიანდნენ და საქართველოში რუსული პოლიტიკის წინააღმდეგ საერთო მიდგომები შეიმუშაონ. მაგალითად, დაბლოკონ "იტერას" შემოსვლა და აქტიურად მოითხოვონ რუსული ბაზებისა და რუსი სამშვიდობოების საქართველოდან გასვლა.

- რუსეთის მოქმედებები არა მარტო საქართველოს ხელისუფლებისთვის არის გამოწვევა, არამედ გამოწვევაა ოპოზიციისთვისაც.

ოპოზიცია რთული ვითარებაშია იმ თვალსაზრისით, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ ზედმეტად აქტიური გამოსვლებით, შესაძლოა, მისი დისკრედიტაცია მოხდეს.

მეორეს მხრივ, ისიც მიუღებელი იქნება, რომ ოპოზიციამ ხელისუფლების კრიტიკას თავი დაანებოს და შევარდნაძის გვერდით დადგეს.

ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მან შუალედური მიდგომა მონახოს.

ისედაც არა ვარ მომხრე და, მით უმეტეს, ამ სიტუაციაში, რომ შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით მასობრივი გამოსვლები დაიწყოს, ეს არ იქნება სწორი ტაქტიკა.

მაგრამ სწორი ტაქტიკა არც მხოლოდ რბილი კრიტიკით შემოფარგვლა იქნება. საჭიროა, რომ ოპოზიციის ნაწილი გაერთიანდეს და რაც მთავარია, ალტერნატიული მიდგომები შეიმუშაოს. ოპოზიციის ფუნქცია მხოლოდ ხელისუფლების კრიტიკა არ არის. ეს ძალიან ადვილია. მან კონკრეტული პრობლემების მოსაგვარებლად კონკრეტული წინადადებები და გზები უნდა მოიფიქროს და მოსახლეობას აუხსნას, რომ მისი მიდგომები უფრო ადეკვატურია, ვიდრე ხელისუფლების პოლიტიკა.

დღესაც ოპოზიციამ საზოგადოებას კონკრეტული ხედვა უნდა შესთავაზოს, - ამ ვითარებაში და ამისთანა ჯარის პირობებში, როგორ შეუძლია პრობლემის გადაჭრა.

ხალხის პირისპირ

საქართველოს აქვს ლიბერალური დემოკრატიის აშენების შანსი

პირველი გვერდიდან

"დემოკრატია" მეტისმეტად ფართო ცნებაა, როგორც ფილოსოფიის, ასევე პოლიტიკური მეცნიერების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური მეცნიერები "დემოკრატიას" იყენებენ ხელისუფლებათა სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ფორმების აღსაწერად. "დემოკრატიად" წოდებული ხელისუფლებებიდან ზოგიერთი თავისუფალი და სამართლიანია, ხოლო ზოგი ტირანიას წარმოადგენს. მაშასადამე, სერიოზულ პოლიტიკურ დისკურსში, ცნება "დემოკრატიის" გამოსაყენებლად აუცილებელია "შესაბამის" ხელისუფლებათა ისეთი კლასიფიცირება, რომელიც უნდა დაეფუძნოს განსახილველი სახელისუფლებო რეჟიმის ფორმის, ბუნების, და გონის ფილოსოფიურ ანალიზს.

სხვადასხვა მიზეზის გამო, "დემოკრატია" ასახავს განსხვავებულ პოლიტიკურ რეჟიმებს, რომლებსაც პოლიტიკური მეცნიერება იცნობს, მათ შორის: ორი - ანტიკურ-ძველბერძნული და მოდერნული რეჟიმები, რომლებსაც დემოკრატიას უწოდებენ; პოლიტიკურ მეცნიერთა გარკვეული ნაწილის მტკიცებით, მეოცე საუკუნის ფაშისტური და კომუნისტური, ტოტალიტალური რეჟიმები, "დემოკრატიის" საკმაოდ მრავალ ნიშანს ატარებდნენ; ანუ დღეს, ის რეჟიმები, რომლებიც ცნობილნი არიან როგორც დემოკრატიები, სინამდვილეში უნდა დახასიათდნენ, როგორც თავისუფალი, ავტორიტარული, სოციალისტური, და ა.შ., მიუხედავად ამისა, ცნება "დემოკრატია" ფართოდ გამოიყენება თითოელი მათგანის ასახვის მიზნით.

ჩვენში, საქართველოში, "დემოკრატიად" მოიაზრებენ ხელისუფლების სპეციფიურ ფორმას. ესაა რეჟიმი, რომელიც იცავს ინდივიდუალურ თავისუფლებებს, პიროვნების სამოქალაქო და საკუთრების უფლებებს (ე.ი. ადამიანის ბუნებრივ და განუყოფელ უფლებებს), ეფუძნება წარმომადგენლობით თვითმმართველობას, განამტკიცებს კანონის უზენაესობას და კანონიერ თანაბარუფლებიანობას. ამერიკის მეთექვსმეტე პრეზიდენტის, აბრაჰამ ლინკოლნის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, ეს არის **"ხალხის, ხალხის მიერ და ხალხისათვის"** არსებული ხელისუფლება. პრეზიდენტ ჯორჯ უოლქერ ბუშის მიხედვით, ეს არის ერთადერთი სამართლიანი ხელისუფლება, რომელიც იცავს **"ადამიანური ღირსების იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც არ ექვემდებარებიან შეთანხმებას; ესენია: კანონის უზენაესობა, სახელისუფლებო ძალაუფლების შეზღუდვა, მანდილოსანთა პატივისცემა, კერძო საკუთრება, თავისუფალი სიტყვა, თანაბარუფლებიანობა კანონის მიმართ და რელიგიური შემწყნარებლობა".**

ის ანალიტიკოსები, რომლებსაც სურთ უფრო კონკრეტულად აღწერონ ჩვენი ქვეყნისათვის სასურველი პოლიტიკური მშენებლობის პროცესი, ხშირად აერთიანებენ ამ ორ განმარტებას - "დასავლური" და "დემოკრატია" - და აცხადებენ, რომ სახელმწიფოს ის ფორმა, რომელიც ჩვენ გვსურს, არის "დასავლური დემოკრატია." ამ უკანასკნელში მოიაზრებენ იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც კომუნისტური საბჭოთა კავშირი დაამარცხეს. მაგრამ ამგვარი მიდგომა ერთდროულად საშიში და არასწორია. მართლია, რომ რეჟიმი, რომელსაც ჩვენ ვგულისხმობთ, დასავლეთში წარმოქმნილმა პოლიტიკურმა ფილოსოფიამ ჩამოაყალიბა და იგი დასავლეთის ქვეყნებში არსებობს. მაგრამ, დემოკრატიის სხვა ფორმებიც, ასევე, დასავლურია. მაგალითად, განა კარლ მარქსი, "სახალხო დემოკრატიის" მამა, დასავლეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ჭეშმარიტად დასავლური ფილოსოფოსი არ გახლდათ?

საკითხავია, როგორ უნდა აღიწეროს ის სახელმწიფო, რომელიც ჩვენი მოქალაქეების უმეტესობას საუკეთესოდ მიაჩნია - ის სახელმწიფო, სადაც ადამიანის თავისუფლება მაქსიმალურადაა უზრუნველყოფილი? ადამიანის ბუნებრივი თავისუფლების იდეა, ისევე, როგორც სხვა "განმანათლებლური" იდეები - კანონის უზენაესობა, თანასწორუფლებიანობა, თვითმმართველობა, და ა.შ. - წარმოიქმნენ განმანათლებლურ ეპოქაში და ეს ისეთ ფილოსოფოსთა დამსახურებაა, როგორებიც არიან ჰობსი, ლოკი, მონტესკიე, მადისონი და სხვ. ამიტომ, მართებული სახელი იმ რეჟიმისა, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, გახლავთ "განმანათლებლური დემოკრატია". მაგრამ ეს ტერმინი ხმარებაში მიღებული არაა. სამაგიეროდ ფართოდ გამოიყენება ტერმინი "ლიბერალური დემოკრატია". ლიბერალური თავისუფალს ნიშნავს - ე.ი. ლიბერალური დემოკრატია "თავისუფალი დემოკრატიაა". ეს ისეთი დემოკრატიაა, რომელშიაც კანონი ყველას თანაბრად ეპყრობა; სადაც ხელისუფლება სახალხო ნებაზეა დამოკიდებული; სადაც მოქალაქეთა ბუნებრივი უფლებები დაცულია სახელისუფლებო ხელყოფისაგან.

ლიბერალური დემოკრატიული გონის, სულისკვეთების და ფორმის სახელმწიფოების მაგალითებია დიდი ბრიტანეთი, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, და, რა თქმა უნდა, ამერკის შეერთებული შტატები. ხოლო მალაიზიის ან ინდოეთის დემოკრატიები, რომლებიც საარჩევნო თვალსაზრისით მართლაც დემოკრატიულებია, არ განიხილებიან ლიბერალურ დემოკრატიებად, თუნდაც იმიტომ, რომ მალაიზიაში მუსულმანურ და ჩინურ ეთნოსებს, კანონის მიხედვით, თანაბარი უფლებები არ გააჩნიათ, ხოლო ინდოეთში მოქალაქეთა ფორმალური (კანონმდებლური) თანაბარუფლებიანობაა, მაგრამ რეალურად უთანასწორობაა. საქართველოში სწორედ ლიბერალური დემოკრატია უნდა ჩამოყალიბდეს და განვითარდეს.

საკითხავია: თუ ლიბერალური დემოკრატია მართლაც საუკეთესო და ყველაზე სამართლიანი სახელმწიფო რეჟიმია, იმყოფება კი საქართველო ამგვარი დემოკრატიისაკენ მიმავალ გზაზე?

თავად კითხვაში იგულისხმება, რომ საქართველო, მისი დღევანდელი დემოკრატიულობის მიუხედავად, არ არის ლიბერალური დემოკრატიის ქვეყანა. ამას მრავალი მიზეზი აქვს; მათ შორის - კორუფცია (ანუ, კანონის მიმართ არათანაბრობა); სახელმწიფოს მრავალმხრივი ჩარევა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის (და სხვა რელიგიების) საქმიანობაში (მაგ. გასაკვირია, მაგრამ საეკლესიო შეწირულობები საგადასახადო დაბეგვრას ექვემდებარება); წარმომადგენლობითი სახელისუფლებო სისტემის დაუხვეწაობა (მაგ. პარლამენტის უმრავლესობა არ არის ხალხის მიერ პირდაპირ არჩეული, და ამის გამო, პარლამენტის ორ-მესამედს, პრაქტიკულად, არ მოეთხოვება ამომრჩევლისაგან პასუხი); წარმომადგენლობითი ხელისუფლების უსუსურობა (ვერ ხორციელდება პარლამენტის მიერ ბიუჯეტის, აგრეთვე სამინისტროების მეორე და დეპარტამენტების პირველი დონის პოლიტიკური თანამდებობების პირთა დანიშვნის პროცესზე კონტროლი). აქედან გამომდინარე, აუცილებელია ისეთი სტრუქტურული ცვლილებების გატარება, რომლებიც თავიდან აგვაცილებენ აღნიშნულ და სხვა მრავალ მსგავს პრობლემას და ხელს შეუწყობენ ისეთი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას, რომელშიც შესაძლებელი გახდება ლიბერალური დემოკრატიული განვითარება.

უფრო დიდი პრობლემებიც არსებობს. ლიბერალიზმის უმნიშვნელოვანესი ცნებაა მოსახლეობის მიერ ხელისუფლებისათვის უფლებამოსილებაზე თანხმობის გადაცემა. ლოკის მიხედვით, ხელისუფლების ძალაუფლების განხორციელების სფერო ისაა, რომელიც მას მოსახლეობამ მიანიჭა პოლიტიკური კონტრაქტის (კონსტიტუციის) შექმნის დროს. სამწუხაროდ, მოსახლეობის მიერ ხელისუფლებისადმი ძალაუფლების გადაცემა საქართველოში არ მომხდარა. 1995 წელს კონსტიტუცია, ხალხმა კი არა, პარლამენტმა მიიღო, რომელსაც ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ლეგიტიმურად არ აღიარებდა.

ლიბერალიზმი არ გამირიცხავს ტირანიის საწინააღმდეგო რევოლუციებს. უფრო მეტიც, ლიბერალური რეჟიმის შემსწავლელი ფილოსოფოსები ირწმუნებიან, რომ რევოლუცია ტირანიის წინააღმდეგ, ადამიანის ვალდებულებას წარმოადგენს. მაგრამ რევოლუციის შემდეგ, აუცილებელია მოსახლეობის მიერ ახალი პოლიტიკური რეჟიმის შექმნა, ახალი კონსტიტუციის დამტკიცება. სანამ ეს არ მოხდება, რევოლუციის შედეგად მოსული მმართველობა ნაწილობრივ არალეგიტიმურია. აქედან გამომდინარე, საქართველოში მართებული ლიბერალური დემოკრატიის მშენებლობა აუცილებლად მოითხოვს ხალხის მიერ პოლიტიკური კონტრაქტის მიღებას - კონსტიტუციონალიზმის დამტკიცებას. ამისათვის არსებობს გარკვეული მოდელები - შეიძლება ადგილობრივი მმართველობის გამოყენება; დასაშვებია კონსტიტუციური კრება. კრების წარმომადგენლებს თემში ირჩევენ და მათი მუშაობის ანგარიშს თემი ამტკიცებს. გამოიყენება რეფერენდუმიც, მაგრამ ეს ყველაზე იოლი და არაეფექტიური გზაა.

საქართველოს გააჩნია საკმაოდ დიდი შანსი, რომ პირველი ნამდვილი ლიბერალური დემოკრატიული რეჟიმის სახელმწიფო გახდეს ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის, თანაც მშვიდობიანი - არა რევოლუციური - გზით. ამ საშუალებას იძლევა ის ფაქტი, რომ ჩვენი პოლიტიკური რეჟიმი ჯერ ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული ბალტიისპირეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც სოციალური, ანუ ისეთი დემოკრატიები აშენდა, რომლებიც მარქსთან უფრო ახლოს იმყოფებიან, ვიდრე ლოკთან. ამავე დროს, ზოგიერთი ქართველი პილიტიკოსის რადიკალური განცხადებების მიუხედავად, საქართველოში არ ჩამოყალიბებულა ცენტრალური აზიის, რუსეთის და სხვა ჩვენი მეზობლების მსგავსი ავტორიტარიზმი, რომლის შეცვლა, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ რევოლუციით შეიძლება. მაშასადამე, ჩვენი ამოცანა გარკვეულიცაა და არც განხორციელებაა შეუძლებელი; უნდა მოვეშვათ ჩვენი კულტურისა და ერის განვითარების პროცესისთვის მეტად საზიანო, ზედაპირულად "დასაბუთებულ" ბაქი-ბუქს და შევუდგეთ მუშაობას!

ფეხბურთი

სფფ-ის არჩევნები ჟორდანიას ტრიუმფით მთავრდება

პირველი გვერდიდან

თუმცა, ყოველივე ამას მრავალი ვნებათა ღელვა უძღოდა წინ...

ყრილობა დღის 12 საათზე იყო დანიშნული, თუმცა, სასტუმრო "შერატონ მეტეხის" ფოიეში ხალხმა დილის 9 საათიდან დაიწყო შეკრება. ყრილობის მონაწილეებისა და დაპატიჟებული სტუმრების რეგისტრაციის შემდეგ, ზუსტად 12 საათზე, სფფ-ის რიგით V ყრილობა მუშაობას შეუდგა.

სფფ-ის აღმასკომის მე-17 სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ყრილობას 108 დელეგატი უნდა დასწრებოდა, რომელთაგან 61-ს საარჩევნო ხმის უფლება ექნებოდა. რეგისტრაციის გავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ დარბაზში იყო 103 დელეგატი, აქედან გადამწყვეტი ხმის უფლებით – 59.

ყრილობას ესწრებოდა FIFA-ს დამკვირვებელი დოქტორი მეჰმედ სპაჰო (ბოსნია-ჰერეცეგოვინა), რომელმაც სხდომის დასაწყისში სიტყვით მიმართა დელეგატებს.

ყრილობის პირველი ნაწილი სამანდატო, სარედაქციო და ხმის დამთვლელი კომისიების დამტკიცებას დაეთმო. ეს პროცედურები კენჭისყრის ჩატარებას მოითხოვდა. სფფ-ის აღმასკომის მიერ შეთავაზებულ კანდიდატურებს ჟორდანიას ოპონენტის პეტრიაშვილის ალტერნატიული წინადადებები მოჰყვა, მან აღმასკომს თავისი კანდიდატურების სია შესთავაზა.

სამივე შემთხვევაში კენჭისყრა სფფ-ის აღმასკომის მიერ დამტკიცებული კომისიის წევრების სასარგებლოდ დასრულდა.

უკვე აქედან გამოიკვეთა მერაბ ჟორდანიასა და მისი გუნდის მომხრეთა უპირატესობა. კენჭისყრის ჩატარებულმა პროცედურებმა აშკარად გამოაჩინა ის, რომ დარბაზში მყოფ დელეგატებს შორის, ჟორდანიას მხარდამჭერები სჭარბობდნენ.

ყრილობამ არეულობის გარეშე მაინც ვერ ჩაიარა

იმ დაძაბული საარჩევნო კამპანიის ფონზე, რომელიც ყრილობას წინ უსწრებდა, სხდომის კონსტრუქციულ რიტმში მსვლელობა ცოტა უცნაურიც კი ჩანდა.

მურთაზ ხურციილავა და მერაბ ჟორდანია გიგიტა ბუხაიძის ფოტო

დაახლოებით 14 საათზე სასტუმროს ფოიეში გამოჩნდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღმასრულებლები, რომლებიც დარბაზში შესვლას მოითხოვდნენ, მაგრამ სასტუმროს დაცვამ მათ ამის საშუალება არ მისცა.

სამინისტროს წარმომადგენლების მოსვლის მიზანი ყრილობის იმ დადგენილების მიხედვით ჩატარება იყო, რომელიც დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა თავის განჩინებაში (ამ გადაწყვეტილების მიხედვით, "საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირს" ხუთივე ხმა ჩამოერთვა, ხოლო ბავშვთა ფეხბურთის წარმომადგენლებს სამი გადამწყვეტი ხმის უფლება მიენიჭა. სფფ-მ სასამართლოს დადგენილება არ გაითვალისწინა და ყრილობა აღმასკომის მიერ დადგენილი რეგლამენტისა და FIFA-ს მიერ გამოგზავნილი დირექტივების მიხედვით წარმართა).

იუსტიციის სამინისტროსა და დაცვის სამსახურს შორის შეხლა-შემოხლა კარგა ხანს გაგრძელდა. სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარე, გიგლა აგულაშვილი დარბაზში შესვლას კატეგორიულად მოითხოვდა. ამას მოჰყვა რამდენიმე "გადარეკვა" ვიღაც ისეთთან, რომელსაც "ომონის" გამოგზავნა ევალებოდა.

ვითარება ფოიეში საკმაოდ დაიძაბა, მაშინ, როდესაც სასტუმროს საპრესკონფერენციო დარბაზში, ყრილობა ისევ კონსტრუქციულად მიმდინარეობდა. პეტრიაშვილისა და მისი მომხრეებისგან რეპლიკები გაისმოდა. აშკარა იყო, რომ სხდომას ჩაშლა ემუქრებოდა.

და ამ დროს აღმასრულებლები გაუჩინარდნენ...

...მაგრამ არ ჩაიშალა. დარბაზში შეღწევის ამაო მცდელობის შემდეგ, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებმა სასტუმროს ტერიტორია დატოვეს და ამის შემდეგ აღარ გამოჩენილან.

ამ დროს დარბაზში ჯერ კიდევ სიტყვით გამოდიოდნენ პეტრიაშვილისა და ჟორდანიას მხარდამჭერები, თუმცა, ეს უკანასკნელები აშკარად სჭარბობდნენ.

28, 29, 30...

მას შემდეგ, რაც სიტყვის წარმოთქმის უფლებით დარბაზში მყოფი ყველა მსურველი დაკმაყოფილდა, ყრილობა თავის გადამწყვეტ ეტაპს, სფფ-ის პრეზიდენტის არჩევნებს მიადგა.

იმის გამო, რომ პრეზიდენტობის მესამე კანდიდატმა, ვაჟა ჩხაიძემ ყრილობას ბოიკოტი გამოუცხადა და სხდომაზე არ გამოცხადდა, დელეგატებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მისი კანდიდატურისათვის კენჭი არ ეყარათ.

კენჭისყრის ჩატარება ღიად გადაწყდა, რასაც არც ჟორდანია და არც პეტრიაშვილი არ ეწინააღმდეგებოდნენ. პროცედურის დაწყების წინ კომისიამ კიდევ ერთხელ ამოიკითხა ხმის უფლებით აღჭურვილი დელეგატების სია, რის შემდეგაც დადგინდა, რომ სხდომაზე მყოფი 59 დელეგატიდან, დარბაზში იმყოფებოდა – 57. აქედან გამომდინარე, გამარჯვების მისაღწევად, საჭირო იყო 29 ხმის დაგროვება (ნახევარი + 1 ხმა).

პირველად კენჭი მერაბ ჟორდანიას კანდიდატურას ეყარა. დელეგატების მიერ აღმართული მანდატები აშკარად აჭარბებდა გამარჯვებისათვის საჭირო ხმათა მინიმუმს. კომისია ჯერ კიდევ 28-ე ხმას ითვლიდა, როდესაც დარბაზში მერაბ ჟორდანიას მხარდამჭერთა მხურვალე ტაში გაისმოდა. ტაში და შეძახილები გრძელდებოდა მაშინაც, როდესაც კომისია 36-ე, 37-ე ხმებს ითვლიდა. ჟორდანიას დარბაზში მყოფმა 38-მა დელეგატმა დაუჭირა მხარი.

წმინდა ფორმალური თვალსაზრისით, ხმისდამთვლელი კომისია პეტრიაშვილის კანდიდატურისთვისაც აპირებდა კენჭისყრას, თუმცა, თავად კანდიდატმა ეს აღარ ისურვა.

მერაბ ჟორდანია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად მეორე ვადით აირჩიეს.

გერმანია

ბუნდესლიგა. III ტური

კოტბუსი – ჰანზა	0:4
მიუნხენ 1860 – ვერდერი	3:0
ჰამბურგი – ბაიერნი	0:3
არმინია – ვოლფსბურგი	1:0
მენჰენგლადბახი – კაიზერი	3:0
ლევერკუზენი – ბოხუმი	2:4
დორტმუნდი – შტუტგარტი	3:1

შოტლანდია

პრემიერლიგა. IV ტური

პარტიკი – სელტიკი	0:1
დანდი – ჰიბერნიანი	2:1
ჰართსი – დანფერმლაინი	2:0

ჩეხეთი

V ტური

სპარტა – სინოტი	3:0
ტეპლიცე – სლავია	0:3
ბოჰემიანსი – ლიბერეცი	0:1

დანია

V ტური

კოპენჰაგენი – ბრონდბიუ	2:1

რუსეთი

პრემიერლიგა. XXI ტური

ლოკომოტივი – როსტსელმაში	3:0
კრ. სოვეტოვი – შინიკი	4:1
ტორპედო – როტორი	3:1
ალანია – სატურნი	0:1
სოკოლი – ზენიტი	2:2
დინამო – ტორპედო ზილი	1:1

შვედეთი

XVII ტური

მალმიო – ჰამარბი	1:1

ფინეთი

მიუპა – ჰაკა	2:1

საფრანგეთი

ლილი – ტრუა	0:0
ნანტი – ლანსი	2:2

ინგლისი

პრემიერლიგა. II ტური

ჩელსი – მანჩესტერი	2:2
სიტი – ნიუკასლი	1:0
ბირმინგემი – ბლექბერნი	0:1
ბოლტონი – ჩარლტონი	1:2
ლივერპული – საუთჰემპტონი	3:0
მიდლსბრო – ფულემი	2:2
სანდერლენდი – ევერტონი	0:1
ტოტენჰემი – ასტონ ვილა	1:0
ვესტ ჰემი – არსენალი	2:2

პირველი დივიზიონი. IV ტური

ბრედფორდი – გრიმსბი	0:0
ბარნლი – შეფილდი	0:1
ქოვენთრი – კრ. პალასი	1:0
დერბი – ვულვერჰემპტონი	1:4
ლესტერი – რედინგი	2:1
მილუოლი – იფსვიჩი	1:1
ნორვიჩი – ჯილინგემი	1:0
პორტსმუთი – უოტფორდი	3:0
პრესტონი – სტოკ სიტი	4:3
უენსდეი – როტერჰემი	1:2
უოლსოლი – ნოტინგემი	2:1
უიმბლდონი – ბრაიტონი	1:0

ბელგია

სტანდარდი – ანდერლეხტი	0:2

შვეიცარია

თუნი – ბაზელი	4:2

ავსტრია

კარნტენი – რაპიდი	0:3
გრაცერი – შტურმი	2:1

თურქეთი

გიოზთეფე – ადანასფორი	1:4
ისთანბული – ბეშიქთაში	1:2
ქოჯაელი – სამსუნსფორი	1:2
ტრაბზონსფორი – ალთაი	0:0

„ატლეტიკო„ კვლავ ძიებაშია

დიდი ხნის განშორების შემდეგ, სეგუნდა დივიზიონიდან პრიმერა დივიზიონში დაბრუნებული მადრიდის "ატლეტიკო" ახალი სეზონისთვის სერიოზულ მიზნებს ისახავს. მადრიდელებმა რამდენიმე საკმაოდ პერსპექტიული ფეხბურთელი აიყვანეს და ახალი ძალებით, კვალავაც განაგრძობენ კლუბის შევსებას.

მას შემდეგ, რაც ხესუს ხილმა ადრიანო გალიანის "მილანისგან" რუი კოშტას იჯარით მიცემაზე უარი მიიღო, ესპანელებმა პორტუგალიელი ცენტრალური ნახევარმცველის შემცვლელს, არც მეტი არც ნაკლები, რუსეთში დაუწყეს ძებნა. როგორც ესპანური სპორტული პრესა იუწყება, "ატლეტიკოს" სურს, მოსკოვის "სპარტაკიდან" ეგორ ტიტოვი ითხოვოს. მოსკოველები უარს ამბობენ ტიტოვის განათხოვრებაზე და მადრიდელებს, ფეხბუთელის სანაცვლოდ, 3,5 მილიონ ევროს სთხოვენ.

მწვრთნელი ერთი მატჩით

ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ლუის ფელიპე სკოლარის პოსტიდან გადადგომის შემდეგ, გუნდი მწვრთნელის გარეშეა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია კი, ახლის დანიშვნას მხოლოდ მომავალ წელს აპირებს. რომ არა ერთი გარემოება, ეს ყველაფერი ამოდენა რეზონანსს არ გამოიწვევდა. საქმე ისაა, რომ ბრაზილიის ნაკრებს ნოემბერში ამხანაგური მატჩი აქვს სათამაშო აშშ-ის ან სამხრეთ კორეის ნაკრებთან (ორ კვირაში გაირკვევა), ჰოდა, ფეხბურთის ფედერაციამაც გადაწყვიტა, მხოლოდ ამ მატჩისთვის, გუნდს მწვრთნელი მოუძებნოს. და იცით, ვინ შეიძლება იყოს "სელესაოს" თავკაცი? ფეხბურთის მეფედ წოდებული პელე. ამის შესახებ მას უკვე მიმართა ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ, თუმცა პასუხი ჯერ არ მიუღია. როგორც ვარაუდობენ, პელე დათანხმდება, მაგრამ მხოლოდ ერთი მატჩით, რადგან მას ხანგრძლივად არ სურს ნაკრების მწვრთნელობა და ამის მომხრე არც ფეხბურთის ფედერაციაა.

რონალდო მადრიდს ვერ იხილავს

მითი ფლორენტინო პერესის ყოველისშემძლეობაზე დაიმსხვრა – მადრიდის "რეალმა" მილანის "ინტერისგან" რონალდოს ყიდვა ვერ მოახერხა.

კლუბების ხელმძღვანელთა შორის მოლაპარაკებები დიდხანს მიმდინარეობდა. საბოლოოდ კი, რონალდოს "ინტერში" დარჩენა ორივე მხარემ დაადასტურა. "კლუბებს შორის გადაუჭრელი წინააღმდეგობების გამო, მოლაპარაკებები წყდება", - ასეთი იყო ვალდანოს ბოლო სიტყვები. ბოლო დღეს მოლაპარაკებას აწარმოებდნენ "ინტერის" პრეზიდენტი, მასიმო მორატი და "რეალის" სპორტული დირექტორი, ხორხე ვალდანო. ეს მორატისა და პერესის შეხვედრის მეორე დღეს მოხდა. ყოველივე ამის შემდგომ შესაძლოა, გვეფიქრა, რომ რონალდოს სამეფო კლუბში გადასვლას წინ ვერაფერი დაუდგებოდა. როგორც ჩანს, საქმე არც ისე მარტივად ყოფილა. ვალდანოსა და მორატის შეხვედრის დაწყებიდან ორ საათში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მხარეები ფორვარდის ფასზე შეთანხმდნენ, თუმცა, არავინ აკონკრეტებდა, რა თანხაზე იყო საუბარი. ჯერ კიდევ მოლაპარაკებამდე ცნობილი იყო, რომ იტალიელები, ბრაზილიელის სანაცვლოდ, 100 მილიონ ევროს ითხოვდნენ, ესპანელები კი მხოლოდ 48 მილიონს იხდიდნენ. მართალია, თანხა არც მოგვიანებით დასახელებულა, მაგრამ ფორვარდის ფასზე მხარეების შეთანხმება დადასტურდა, თუმცა...

ეს თუმცა ისაა, რომ "ინტერი" ამ თანხას სრულად ითხოვდა, "რეალი" კი 12 მილიონს და სამ ფეხბურთელს სთავაზობდა. ამ შემთხვევაში კი, მთავარია, - რონალდო "რეალში" არ გადადის და მომავალ სეზონშიც, სურს თუ არა ეს მას, "ინტერის" მაისურა უნდა ჩაიცვას.

რივალდო წასვლას ფიქრობს

"მილანში" ახლად გადასული ბრაზილიელი ნახევარმცველი რივალდო ისევ საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. მან განაცხადა, რომ შესაძლოა, ის გუნდიდან წავიდეს.

"ბრაზილიის ნაკრებს მალე ახალი თავკაცი ეყოლება. სულაც არა ვარ დარწმუნებული, რომ სკოლარის მემკვიდრე ნაკრებში ამიყვანს. თუ ისევ შემომთავაზებენ "სელესაოში" თამაშს, ჯერ კარგად ავწონ-დავწონი ყველაფერს და საბოლოო გადაწყვეტილებას მერე მივიღებ", - თქვა ფეხბურთელმა.

იტალიური სპორტული ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ რივალდომ "სელესაო" იმიტომ დატოვა, რომ "ბარსელონას" ექსლიდერს, ბოლო ხანებში, ბრაზილიურ ტორსიდასთან პრობლემები შეექმნა და გულშემატკივართა შორის ძველებურად პოპულარული აღარ არის.

მძლეოსნობა

აპლოდისმენტები ბრიტანელთათვის

გიგა გურასაშვილი

მძლეოსანთა მორიგი გრან-პრის გათამაშებას ლონდონის კრისტალ პალასმა უმასპინძლა. როგორც ყოველთვის, ყურადღების ცენტრშია სპრინტერთა ასპარეზობები. გარდა იმისა, რომ ინგლისელ გულშემატკივრებს პრესტიჟული დისციპლინის პერიპეტიები აინტერესებდათ, მათი თავშეყრის მიზეზი თანამემამულე დუეინ ჩემბერსის მხარდაჭერაც გახლდათ. ჩემბერსი ფეხმარდ ამერიკელებთან - მორის გრინთან და ტიმ მონტგომერისთან ერთად, გავიდა სარბენ ბილიკზე. ინგლისელთა იმედები გამართლდა. მათ მიიღეს ის, რაც სურდათ, კერძოდ - ჩემბერსის მიერ მსოფლიოს რეკორდსმენის გრინის ძლევა. ჩემპიონ-პრიზიორთა ვინაობა ბოლო 25-მა მეტრმა განაპირობა. მიუნჰენის ევროპის ჩემპიონს, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად, 9.98 წამი დასჭირდა.

"გაცივებული ვიყავი და არ მეგონა, თუ გავიმარჯვებდი. თანაც, არ დაგავიწყდეთ, გრინს, წლეულს, მეოთხედ მოვუგე. იმედია, მომავალ წელსაც შევძლებ წარმატებას", - ამბობს ბრიტანელი.

ჩემბერსის მიერ ძლეული მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი გრინი კი თავს იმართლებდა: "მან ჩემს მიერ ცუდად აღებული სტარტით ისარგებლა და მომიგო. რას იზამ, გაუმართლა. ისე კი, წლევანდელი სეზონი საცდელად მქონდა, რადგან მიზანი მომავალი წლისთვის მზადებაა."

თარჯმრბენთა ასპარეზობა

მართლაც, სტარტიდანვე გრინი ლამის წაიქცა. თუმცა, იმდენი მაინც მოახერხა, რომ პრიზიორთა შორის ადგილი შეენარჩუნებინა. მასა და ალბიონელს შორის კი მონტგომერიმ გაიკვლია გზა.

ქალთა შორის იმავე დისციპლინასაც ინტრიგა ახლდა. წინასწარ განჭვრეტა იმისა, თუ ვინ გაიმარჯვებდა, ძალზე რთული ჩანდა. ერთმანეთის პირისპირ ორი აშკარა ფავორიტი იდგა. ამერიკელი მარიონ ჯოუნსი და უკრაინელი ჟანა პინტუსევიჩ-ბლოკი, შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, ერთმანეთს აღარ შეპაექრებიან. მაშინ ედმონტონის უმთავრეს სარბიელზე უკრაინელმა გაიმარჯვა. ამრიგად, ამერიკელს საშუალება მიეცა, ადრინდელი წყენა კრისტალ პალასის სარბიელზე გაეხსენებინა. სასტარტო სიგნალს უკრაინელ-ამერიკელის დუელი მოჰყვა. ამჯერად, მარიონი შეუდარებელი იყო – 10.97. პინტუსევიჩ-ბლოკმა ამერიკელს იოლად დაუთმო ჩემპიონობა და ეს შედეგიდანაც ჩანს – 11.11. უკრაინელს რემატჩის საშუალება ბრიუსელში, ოქროს ლიგის ეტაპზე, ხუთიოდე დღეში მიეცემა.

ჩემბერსის გამარჯვების შემდეგ, ყველაზე ხანგრძლივი აპლოდისმენტებით 110 მეტრზე თარჯმრბენთა ასპარეზობა გამოირჩეოდა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ორგზისა და ევროპის ოთხგზის ჩემპიონმა, მსოფლიოს რეკორდსმენმა, კოლინ ჯეკსონმა ასპარეზობა მისთვის შეუფერებელი მესამე ადგილით დაასრულა, გულშემატკივრები კმაყოფილები იყვნენ. საქმე ისაა, რომ ეს ჯეკსონის შინაურ კედლებში, ღია ცის ქვეშ ბოლო შეჯიბრებაა, რადგან მას სარბენი ბილიკებიდან წასვლა გადაუწყვეტია. თუმცა, ვიდრე სპორტს თავს დაანებებდეს, მომავალ წელს ბირმინგემში მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატზეც იასპარეზებს.

"როდესაც ფინიშის ხაზი გადავკვეთე, ცოტაღა მაკლდა რომ მეტირა", - გულაჩუყებული ჩანდა ჯეკსონი.

ალბიონელს პატივი მეტოქეებმაც დასდეს. როცა სახელოვანი ბრიტანელი ჟურნალისტების გარემოცვაში იყო, მასთან მივარდა გამარჯვებული - მსოფლიოს ჩემპიონი ამერიკელი ალენ ჯონსონი და ხელში აიტაცა.

ქალთბურთი

ინდიანაპოლისი რეკორდისთვის ემზადება

29 აგვისტოს სტარტს აიღებს მსოფლიოს ჩემპიონატი კალათბურთში. ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ინდიანაპოლისში მსოფლიოს უძლიერესი კალათბურთელები იკრიბებიან. გასაგები მიზეზების გამო დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ჩინეთის ნაკრების სტუმრობამ. ეს დრაფტის პირველი ნომრის იაო მინგის დამსახურებაა. ჩინელი თანამედროვე კალათბურთში უნიკალური მოვლენაა და მისგან საწაულებს ელიან. ყველაფერთან ერთად აზიელები და მასპინძელი - ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები - პირველ ეტაპზე ერთ ქვეჯგუფში არიან, რაც დამატებით ინტერესს იწვევს. "მე მაქსიმალურად ვეცდები, შედეგიანად ვითამაშო, - განაცხადა გიგანტმა აზიელმა, - განსაკუთრებით ამერიკელთა წინააღმდეგ. სამწუხაროა, რომ ვერ შევხვდები შაკილ ონილს. თუმცა, ასოციაციის რეგულარულ სეზონში ურთიერთობას მასთანაც გავარკვევ."

რაც შეეხება თავად მომავალ პირველობას. საყოველთაო მოსაზრებითა და გამოთვლებით, ინდიანაპოლისის პირველობა სარეკორდო იქნება. უკვე გაყიდულია 200 ათასზე მეტი ბილეთი. ორგანიზატორები თვლიან, რომ ეს ციფრი მნიშვნელოვნად გაიზრდება. წინა, ტორონტოში გამართულ პირველობაზე, სულ 200 ათასი ბილეთი გაიყიდა.

გერმანელები დამშვიდდნენ

კალათბურთის გერმანელი მოყვარულები, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ, ძალიან ნერვიულობდნენ. თურმე, გერმანიის ტელევიზია ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაციის უფლებას ვერ მიიღებდა, რადგან "Five Sport" ARD-სგან 400 000 ევროს გადახდას ითხოვდა, რისი საშუალებაც ტელეკომპანიას არ ჰქონდა.

თითქოს ფანები ნოვიცკისა და კომპანიის საჩემპიონატო გმირობის ხილვის გარეშე უნდა დარჩენილიყვნენ, მაგრამ მოულოდნელად სიტუაცია შეიცვალა. ტელეკომპანიებმა ARD-მ და DSF-მ ერთობლივად გამონახეს საჭირო თანხები და ტრანსლაციის უფლება მიიღეს. ასე რომ, 29 აგვისტოს მსოფლიო ჩემპიონატის მღელვარებას გერმანელებიც შეუერთდებიან.

რას გვიქადის ახალი სეზონი

რამდენიმე სიტყვა ქართული პოპის შესახებ

მამუკა ბერიკა
ანა კორძაია-სამადაშვილი

დღევანდელი გადმოსახედიდან, კარგა ხანია, აღარ არის ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენთან "შოუ არის და ბიზნესი – არა". შოუც გვაქვს და ბიზნესიც – ბიზნესის გარეშე დღეს შოუც ვეღარ იარსებებს. რაც ყველაზე საინტერესოა და, პრინციპში, შოუ-ბიზნესისათვის სასარგებლოც: შოუს ახლაც, ისევე, როგორც ადრე, მრავალი მხარდამჭერი ჰყავს, უამრავი და, რაც ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, უანგარო. ბევრისთვის ხომ პოპ-კულტურა თვითგამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა.

ეს პროდუქცია ძალიან ადვილად იყიდება, როცა ცნობილია, რომ მასში მოხვედრილი არიან "ვარსკვლავები" - პირობითად ვარსკვლავები. თანამედროვე შოუ-ბიზნესის მონინააღმდეგეებიც, რომლებიც საკმაოდ მრავლად არიან, ზუსტად ისეთივე სისწრაფით და ინტენსივობით იძენენ ამ პროდუქციას, როგორითაც ამ საქმის მომხრენი.

კარგი და საკვირველი არის ის, რომ ჩვენისთანა უსისტემო ქვეყანაში, რომელშიც მრავალი სტრუქტურა არ მუშაობს და, ფაქტიურად, არც კი ჩამოყალიბებულა, შოუ-ბიზნესი თვითონ აყალიბებს თავის თავს, თავის სისტემას. მრავალი მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემა გადაუჭრელია, ქუჩები არ გვივარგა, მიწისძვრამ სახლები დაგვინგრია, მაგრამ საკონცერტო დარბაზებს მაინც ვავსებთ ბედნიერი სახეებით.

თითქოს ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია, რომ პოპ-მუსიკაზე მოთხოვნა არსებობს და სულ უფრო იზრდება. კონცერტებზე ყველა თაობის ადამიანებს შეხვდებით, ყველა მოდის.

პოპ-კულტურა მოიცავს ყველა ფენას, ასე თუ ისე, ყველანაირ ხალხს უწევს მასთან შეხება. ეს ნორმალური მოვლენაა. რამდენადაც არ უნდა აღიზიანებდეს პოპ-მუსიკა კამერული მუსიკის მოყვარულებს, ჯაზის თაყვანისმცემლებს ან როკ`ენ`როლის ტრფიალთა საზოგადოებას, თავად პოპ-კულტურის არსებობის ფაქტი ყველაზე მეტად მათთვისაა ხელსაყრელი. ის სივრცეს აძლევს დახვეწილი გემოვნების მქონე და ღრმა ცოდნით აღჭურვილ ადამიანებს - როგორც შემსრულებლებს, ასევე მსმენელებს, უთავისუფლებს ტერიტორიას, სადაც მათ შეუძლიათ უფრო რაფინირებული "ნაწარმი" შექმნან, სადაც კომპრომისზე წასვლა არ მოუწევთ. მსგავსი მაგალითები უკვე არსებობს - ფოტოგრაფიამ თავის დროზე ასევე გაუთავისუფლა სივრცე ფერწერას, სადაც ამ უკანასკნელს მეტი ექსპერიმენტის, მეტი სუბიექტურობის და თვითგამოხატვის უსასრულო შესაძლებლობები მიეცა. თუმცა, თვითონ ფოტოგრაფიაც ძალიან მალე დაიხვეწა და დახელოვნების მოუკიდებელ სფეროდ ჩამოყალიბდა, დღეს ის შეუცვლელია.

პოპ-პროექტი, უპირველეს ყოვლისა, სარკეა. მასში უმალვე აირეკლება მისი შემქმნელი სოციუმი, ის ასახავს იმ მოდელებს, რომლებიც იმ ვითარებისა და დროისთვისაა სასურველი. იგი მთლიანად განსხვავდება და ფაქტიურად ანტიპოდიცაა კონცეპტუალური, ელიტარული პროექტებისა. იგი არ ისახავს მიზნად, მომხმარებლისათვის საკულტო ხელოვნება, საკულტო საგანი გახდეს, იგი თავისუფალია ამისაგან და მომხმარებელსაც თავისუფალი არჩევანის საშუალებას აძლევს.

მით უმეტეს, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი ძალიან სწრაფად ხდება. იღებენ უამრავ კლიპს, იწერება უამრავი სიმღერა, და აქ არ არის საუბარი მხოლოდ უკვე დამკვიდრებულ, ცნობილ შემსრულებლებზე. ამას აკეთებენ ის ახალბედა მუსიკოსები, რომლებსაც სჯერათ თავიანთი მომავლის და დარწმუნებულნი არიან, რომ წარმატება ელით. თვალნათლივ ჩანს, რომ თუმცა ბევრს ვსაუბრობთ ტრადიციებზე და მე-12 საუკუნეც საკმაოდ ხშირად გვახსენდება, მაინც გვირჩევნია ახალი საგნები და სახეები.

ნებისმიერ პროექტს "აგორებისათვის" დაახლოებით ერთი, დიდი-დიდი, ორი კვირა სჭირდება, ორ თვეში კი ის, ვთქვათ ასე - არსებობას წყვეტს. მისი ხელახალი გამოჩენა ნეგატიურ დამოკიდებულებასაც კი იწვევს იმ მომხმარებელში, რომელიც სულ ახლახან აღტაცებული შეხვდა. პოპ-მუსიკოსმა ეს იცის და ამიტომ მზადაა იმისთვის, რომ ახალი ჰიტი შემოაგდოს და საწოლში ჩაუგოროს მათ, ვინც გაბრწყინებული სახით შესცქერიან დარბაზიდან თავიანთ დროებით სათაყვანებელ კერპებს.

ქართული შოუ-ბიზნესი სულ რამდენიმე წლისაა. ისევე, როგორც ჩვენი ქვეყანა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის ახლა იბადება, ახლა ყალიბდება, მიუხედავად მისი ისტორიული ხანდაზმულობისა. არქეტიპები იცვლება, ინგრევა, მათ სანაცვლოდ მოდის სრულიად სხვა, ახალი, რადიკალურად განსხვავებული. მუსიკა კარგად გამოხატავს ამ მდგომარეობას. ეს ეხება, ფაქტობრივად, ყველა ცნობილ შემსრულებელს, რომელიც ზენიტშია: მისი მუსიკალური ტემპორიტმი არის თანამედროვე და ევრო-ლათინური, მაგრამ რეპერტუარში არის სსრკ-სეული მუსიკალური მოდელის მქონე კომპოზიციაც, ე.წ. ქართულ-ტრადიციული.

პოპ-მუსიკოსმა კარგად იცის, რომ ორი კურდღელი უნდა დაიჭიროს: ერთის მხრივ, ეს არის რესტორანში მჯდომი, გაბადრული, კეთილგანწყობილი "ჰომო სოვიეტიკუსი", ერთგვარი "ნიუ-ჯორჯიენ-ესთეტიკ" სუბიექტი; მეორეს მხრივ, არიან მოზარდები – ალბომების, ჟურნალების, პლაკატების მომხმარებლები და კონცერტების მსმენელები. კონცერტებზე, რა თქმა უნდა, ევრო-ლათინური უფრო "ამგდებია". ეს მუსიკა რესტორანშიც მოსწონთ. ყველა კმაყოფილია.

გარდა ამისა, პოპ-მუსიკოსი თუ სექს-სიმბოლო არ იქნა, მას არავინ მოუსმენს და მის კონცერტზეც არავინ გაიქცევა. ლიბიდო მუშაობს, მუშაობს ყველაფერში, და როგორ შეიძლება მუსიკა იყოს გამონაკლისი. რა თქმა უნდა, სექს და ეროტიკული კულტურის მიმართაც ახალი სტერეოტიპი ყალიბდება. ყველაზე თამამიც გამოინახა, ერთგვარი ნოვატორიც, მას თავიდან იმის პრეტენზიაც კი ჰქონდა, რომ საკულტო მუსიკოსი გახდებოდა, მაგრამ იმ პუბლიკისთვის, ვინც მისი მუსიკა აიტაცა, "საკულტო" მაინც ნაადრევი აღმოჩნდა. ამიტომ ყველაფერი შეიცვალა სრულიად მარტივი მოწოდებით: "მოდი, აიწიე კაბა, მოდი, დაგახურავ საბანს", და ქართველი კდემამოსილი ქალები თავდავიწყებით ცეკვავდნენ, დაბინდებიდან დაძინებამდე. სიტყვა ითქვა და გამგონი დახვდა.

დრონი მეფობენ. მოდური ინგლისური ენა, რომელსაც ძირითადად როკ-მუსიკოსები იყენებდნენ, პოპ-შემსრულებლებმა უფრო აქტუალური ქართული ენით შეცვალეს. სამწუხაროდ, ის როკ-მუსიკოსები გაჯიუტდნენ და დღემდე "პირველ ჩვენებას აწვებიან", რომელიც იმათ, ვისაც უნდა ესმოდეს, არც ესმით, არც აინტერესებთ და, ძალიანაც რომ მოუნდეთ, მაინც ვერ გაიგებენ. სწორედ ამ პრობლემამ – ენის გამო სიმღერების გაუცხოებამ – გამოიწვია ის, რომ ყველაზე მასობრივი კულტურა, როკ-კულტურა, ჩვენში ფაქტიურად აღარ არსებობს. ამას ემატება კონცერტების სისტემატური ჩაშლა: თუ კონცერტი, ვთქვათ, შვიდ საათზე უნდა დაიწყოს, შვიდიდან ცხრამდე ხდება აპარატურის და ინსტრუმენტების აწყობა, გადაწყობა, სოლისტის გაუგებარი მონოლოგი, რომელიც გენას რაღაცას უხსნის. გენას ან არ ესმის, ან აღარ უნდა, იმიტომ რომ ორატორმა შეიძლება არც იცოდეს, რა უნდა. ეს იცის გენამ.

ამრიგად, საბოლოო ჯამში, ვიღებთ ხმალალესილ, ძირძველ ქართულ პოპს. და, თუ სამყაროს მშვენიერება გადაარჩენს, საქართველოს გადაარჩენს უშრეტი ქართული პოპი.

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

ინფორმაციული კონკურსი
http://www.internews.ge/geo/psa
"ინტერნიუსი" აცხადებს კონკურსს სოციალური რეკლამების საუკეთესო სცენარების გამოსავლენად
თემები: ტრეფიკინგი და არალეგალური მიგრაცია
შერჩეული იდეების ავტორები მონაწილეობას მიიღებენ პროექტის შემდგომ განხორციელებაში და დაჯილდოვდებიან ფულადი პრემიით
სრული ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ "ინტერნიუსის" ოფისში მისამართზე:
ჭავჭავაძის გამზირი 74, მე-6 სართული
ტელ.: 25-38-60, 25-38-61, 25-38-62
info@internews.ge
http://www.internews.ge/geo/psa
პროექტების "ინტერნიუსში" წარდგენის ბოლო ვადაა 2002 წლის 7 სექტემბერი

ვარსკვლავის დაბადებამდე...

გამოცხადდა "ბუკერის" პრიზის ნომინანტები

წლის წიგნის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი ბრიტანეთის მუზეუმში გაიმართება

თამარ ბაბუაძე

მღელვარება და სამზადისი "მენ ბუქერის" ვებ-საიტზეც კი იგრძნობა. ვირტუალური კალენდარი გვამცნობს, რომ ღირსშესანიშნავ თარიღამდე 58 დღე დარჩა. 22 ოქტომბერს ბრიტანული (და არამარტო) ლიტერატურისთვის წლის მოვლენა გაიმართება. "მენ ბუკერი" საუკეთესო მხატვრული ნაწარმოების ავტორს გამოავლენს. მანამდე კი ლიტერატურული სამყარო სიახლის მოლოდინში ახალ წიგნებს "ნთქავს", აფასებს და თან უმაღლესი "არბიტრაჟის" "განაჩენს" ელის.

ამ საყოველთაო მღელვარების ფონზე, მით მეტ აქტუალობას იძენს რიგი მწერლების რიტორიკადქცეული კითხვა – რა სარგებლობა მოაქვს ასეთ ჯილდოებს, ხომ არ ხდება მწერალთა, ცოტა არ იყოს, უხერხული დიფერენციაცია – დაჯილდოებულები და ჯილდოს გარეშე დარჩენილები. უფრო მეტიც, ამგვარი ჯილდოების არსებობა ხომ არ აქეზებს მწერალს მხოლოდ პრიზის და სახელის მოსაპოვებლად წეროს. ბუნებრივია, ამგვარ ეჭვებსაც საკუთარი საფუძველი აქვს. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საუბარი "ბუკერის" პრიზზეა. აკი, 1996 წლის გამარჯვებული მწერალი, გრემ სვიფტიც აღიარებს: "პრიზის მიღება მწერლად არავის აქცევს და არც მწერლები წერენ პრიზის მოსაპოვებლად. მაგრამ ამდენი ლიტერატურული ჯილდოს ფონზე, "ბუკერი" მაინც გამორჩეულია. თუ გულწრფელად ვაღიარებთ, ის არის პრიზი, რომლის მოპოვებასაც ყველაზე მეტად ვესწრაფვით".

მართლაც, "ბუკერის" ჯილდოს ფლობა ლამის საერთაშორისო აღიარებას ნიშნავს. 1968 წლიდან დაწყებული, ეს ჯილდო წლის საუკეთესო ავტორს გადაეცემა. "ბუკერის" პრესტიჟულობას კი, ბუნებრივია, მისი ჟიურის შეუცდომლობა განაპირობებს – არჩევანი ყოველთვის ზუსტად კეთდება. ამიტომ არც ლიტერატურული ფონდის განცხადება ჟღერს პრეტენზიულად, რომ "მენ ბუქერის" პრიზი თანამედროვე მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს. მსოფლიოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ჯილდო, რომელიც მართლაც შეუდარებელი გავლენით სარგებლობს, ყოველი მწერლის წარმატების მწვერვალია".

წარმატების მწვერვალზე მყოფი მწერლის გამოვლენამდე კი 58 დღე დარჩა. მანამდე ლიტერატურულმა სამყარომ კანდიდატთა ე.წ. "გრძელი სიის" გამოქვეყნებით მოითქვა სული. უკვე გამოიკვეთა ფავორიტების სახელებიც. ზეიდი სმიტი, უილიამ ბოიდი და ჰოვარდ იაკობსონი – "ბიბისის" შეფასებით, ეს მწერლები წლის ავტორის წოდების რეალური კანდიდატები გახლავთ.

ზეიდი სმიტი პრიზ Whitbread-ის მფლობელია. მისი დებიუტი რომანით "თეთრი კბილები" 2001 წელს შედგა და მწერალს პოპულარობაც მოუტანა. წლევანდელ "ბუკერზე" მისი ახალი ნამუშევარი The Autograph Man არის წარდგენილი.

მკითხველი კარგად იცნობს ბოიდის შემოქმედებასაც და განსაკუთრებით მის გახმაურებულ რომანს "ლურჯი შუადღე". აღსანიშნავია, რომ 1993 წელს, ბოიდის სწორედ ამ ნაწარმოებმა მიიღო "სანდი ექსპრესის" წლის წიგნის წოდება. წელს კი "ბუკერის" ჟიური მის ახალ ნაწარმოებს Any Human Heart-ს იხილავს.

თუმცა, "ბიბისის" ცნობით, გამარჯვების ყველაზე დიდ შანსს მაინც იაკობსონი ფლობს. მისი იუმორისტული რომანი Who's Sorry Now? "ბუკერის" გარეშეც პოპულარობით სარგებლობს.

გაზეთი "გარდიანი" კი მკითხველის ყურადღებას სხვა სახელებზე ამახვილებს. მათ შორის გახლავთ ანიტა ბრუკნერი და უილიამ ტრევორი. ორივე მათგანი "ბუკერის" ნომინანტებს შორის უხუცესი (74 წლის) მწერალი გახლავთ. ტრევორის ნაწარმოებები Whitbread-ის ჯილდოთი ორჯერ დაჯილდოვდა. ის ახლა მკითხველის წინაშე ახალი რომანით, The Story of Lucie Gault წარსდგა. (სხვათა შორის, მის შემოქმედებას ქართველი მკითხველიც იცნობს. ორი წლის წინ, ტრევორის ერთი მოთხრობა "არილმა" დაბეჭდა). ანიტა ბრუკნერი კი, თუ მწერალთა ზემოთ არჩეულ დიფერენციაციას მივყვებით, "ბუკეროსანია" – 1984 წელს, საუკეთესო წიგნის წოდება სწორედ მისმა რომანმა Hotel du Lac მიიღო. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ გამარჯვებამ მწერალზე უარყოფითად იმოქმედა, რადგან "ბუკერის" პრიზს ის ხანგრძლივი დუმილით შეხვდა. წელს, ოცწლიანი ინტერვალის შემდეგ, მისმა ნაწარმოებმა Next Big Thing გზა "ბუკერის" "გრძელი სიისკენ" კვალაც გაიკვალა.

"გარდიანი" გამოჰყოფს 26 წლის მწერალს ჯონ მაკგრეგორსაც, თავისი წიგნით If Nobody Speaks Of Remarkable Things. ერთ-ერთი კრიტიკოსის შეფასებით, მაკგრეგორის ეს ნაწარმოები "სიყვარულისა და სიტყვის ძალაზეა, რომელიც ცხადყოფს, რომ სასწაულები ყველგან არის, თუ ვიცით, როგორ ვეძებოთ ისინი". ინდუსტრიული საზოგადოების ფანტასტიკურად აღწერის გამო, ზოგი მის რომანს ოდენის პოემას Night Mail-საც ადარებს. ნომინანტთა სიაში ასევე შედიან: უილ სელფი (Dorian) კაროლ შილდსი (Unless), ტიმ უინტონი (Dirt Music), მაიქლ ფრეინი (Spies), დენი ებსი (The Strange Case of Dr Simmonds and Dr Glass), იან მარტელი (Life of Pi), კოლინ ტაბრონი (To the Last City), სარა უოტერსი (Fingersmith), ჯონ ბენვილი (Shroud), ჯოან ბარფუტი (Critical Injuries), რობერტ ედრიკი (Peacetime), ლინდა გრანტი (Still Here), ფილიპ ჰენშერი (The Mulberry Empire), როჰინტონ მისტრი (Family Matters).

ეს ნაწარმოებები 130 წიგნიდან შეირჩა. 29 სექტემბერს კი ჟიური ექვს საუკეთესო წიგნს აირჩევს და უკვე ნომინანტთა "მოკლე სიას" გამოაქვეყნებს. საუკეთესო წიგნის ავტორი კი 22 ოქტომბერს გაირკვევა.

უნდა ითქვას, რომ ტრადიცია არც წელს დარღვეულა. "ბუკერის" ღირსეულ გამარჯვებულს პრესტიჟული ჟიური ირჩევს: თავმჯდომარე, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი, ლიზა ჟარდინი, მწერალი და კომიკოსი დევიდ ბადიელი, მწერალი რასელ სელინ ჯონსი, მწერალი და ფსიქოლოგი სალი ვიკერსი და "ტაიმსის" ლიტერატურის განყოფილების რედაქტორი ერიკა ვაგნერი. სწორედ მათი გემოვნებით აირჩევა გამარჯვებული წიგნი, რომლის ავტორიც "ბუკერის" ფონდიდან 50 ათას ევროს მიიღებს. საუკეთესო ექვსეულში მოხვედრილებს კი 2500 ევროს გადასცემენ.

ალბათ, 22 ოქტომბერს არც ჟურნალისტები დაარღვევენ ტრადიციას და ყველაზე დიდი ინტერესით ერთადერთ კითხვას დასვამენ: რაში დახარჯავს ფულად პრიზს გამარჯვებული ავტორი. შესაძლოა, ამ კითხვას წელსაც არანაკლებ ორიგინალური პასუხი გაეცეს. თუმცა, დღემდე, "ბუკერის" ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე განსხვავებულ პასუხად 1990 წელს გამარჯვებული მწერლის, ეი.სი. ბაიეტის ფრაზა ითვლება. მან განაცხადა, რომ როგორც იქნა, იშოვა ფული საკუთარ ეზოში საცურაო აუზის გასაკეთებლად...

როგორ მიაგნო ჩარლზ ჰილმა ტიციანს

ნინო თამარაშვილი

შვიდი წლის შემდეგ ტიციანის ნახატი ფაქტობრივად უვნებელია

არსებობს მსოფლიოში მოპარული ხელოვნების ნიმუშების არაოფიციალური ნუსხა. ნუსხა ათასობით დასახელებას შეიცავს, ნამუშევრების ფასი მილიარდებით განისაზღვრება. ახლა ამ სიას ერთი პუნქტი დააკლდა – ტიციანის "ეგვიპტედ ლტოლვა" კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა.

ხეზე შესრულებული ფერწერა, რომელიც ტიციანის ყველაზე ცნობილი სურათების რიცხვს განეკუთვნება, ასახავს სცენას, როცა წმინდა ოჯახი ჰეროდეს შიშით ეგვიპტეში აპირებს გაქცევას. ეს სურათი 1878 წელს მარკიზმა ფონ ბეტმა კრისტის აუქციონზე შეიძინა. 1995 წლის იანვარში კი ის ახლანდელი მარკიზ ფონ ბეტის სასახლიდან მოიპარეს. საფრანგეთში მცხოვრებმა ლორდმა საზოგადოებას აცნობა, რომ ფარ-ხმალს არ ყრის და მაინც ეღირება ამ ტილოს ნახვას.

მარკიზი ბრიტანეთის ერთ-ერთ ყველაზე ექსცენტრულ ლორდს, შომონდლის შეეკრა – ამ უკანასკნელს 1992 წელს სასახლიდან ჟან-ბატისტ ოდრის "თეთრი იხვი" მოპარეს. ორმა ლორდმა დამოუკიდებელ გამომძიებელს, "ხელოვნების პოლიციელს", ჩარლზ ჰილს მიმართა და საზღაურად 100.000 გირვანქა სტერლინგი აღუთქვა.

ჰილი მას შემდეგ გახდა პოპულარული, რაც 1994 წელს ედუარდ მუნკის "ყვირილს" მიაგნო. ის მრავალმხრივი ცოდნით, საუკეთესო კონტაქტებით და გამოძიების ორიგინალური მეთოდებითაა ცნობილი. სკოტლენდ იარდიდან წამოსვლის შემდეგ ის ხელოვნების ნიმუშების დაბრუნების სფეროში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა. ჰილი ხშირად ჩიოდა ხოლმე, რომ ხელოვნების ნიმუშების ქურდებს პოლიცია სერიოზულად არ ეკიდება.

და აი, ქურდობიდან შვიდი წლის შემდეგ, ლონდონში, დიდ პოლიეთილენის პარკში, სწორედ ისეთში, დიასახლისები რომ სახლში სანოვაგეს ეზიდებიან ხოლმე, ტიციანის ნახატი აღმოაჩინეს.

ტიციანის პოვნა, პირველ რიგში, ჩარლზ ჰილის გამარჯვებაა. ჰილი მოყვა, რომ ოთხი თვის წინათ მამაკაცი დაუკავშირდა, რომელმაც ტიციანის გამოსყიდვა შესთავაზა, და ფასიც დაასახელა – 100.000 გირვანქა სტერლინგი. "ამაზე შევთანხმდით. მერე ავტობუსის გაჩერებაზე შევხვდი კაცს, რომელსაც ხელში ცელოფანის ჩანთა ეჭირა."

ტიციანი სახლში დაბრუნდა. ნახატი ფაქტობრივად უვნებელია, მას უბრალოდ გაწმენდენ და ახალ ჩარჩოში ჩასვამენ.

აჭარაში ზალიკო ბერგერის აქსესუარების ჩვენებები მოეწყობა

ბათუმსა და ქობულეთში დიზაინერ ზალიკო ბერგერის აქსესუარების ჩვენებები მოეწყობა. ჩვენებებში ბიჟუტერია, ყელსაბამები, სამკაულები, ქამრები და სხვა აქსესუარები იქნება წარმოდგენილი. საზაფხულო ჩვენებაზე დიზაინერი სულ 50-მდე აქსესუარს წარმოადგენს, რომელთა ნაწილი თურქეთში შეიქმნა.

სექტემბრისთვის ზალიკო ბერგერი ღამის კლუბ "ჯოიში" პომპეზური ჩვენების გამართვას გეგმავს, რომელზეც საღამოს კაბებისა და კლასიკური ტანსაცმლის კოლექციებს წარმოადგენს. ოქტომბერში ამავე კოლექციებით დიზაინერი სტამბოლში წარდგება, სადაც საკუთარი მაღაზიის გახსნასაც აპირებს.

ბათუმსა და ქობულეთში ზალიკო ბერგერის აქსესუარების ჩვენებები 25 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე გაგრძელდება

სპრინგსტინი მუზეუმში

ბრუს სპრინგსტინი პირველი პერსონალური გამოფენისთვის ემზადება. Weisman Art Musuem-ის ხელმძღვანელობა აპირებს, გააკეთოს მულტიმედიური ექსპოზიცია, რომელიც მუსიკოსის შემოქმედებაში საავტომობილო-საგზაო მოტივების მნიშვნელობას ასახავს.

ექსპოზიციაში გაერთიანდება 70-ზე მეტი ისეთი ცნობილი ფოტოხელოვანის ნამუშევრები, როგორებიც არიან: ენი ლეიბოვიცი, დევიდ გარი, ჯოელ ბერნშტეინი, დევიდ როუზი და ფრენკ სტეფანკო. ექსპოზიციის დიდი ნაწილი ფართო საზოგადოებისთვის ცნობილია, რადგანაც ისინი ადრე სპრინგსტინის ალბომების პრომოუშენისთვის გამოიყენეს.

გამოფენა მინეაპოლისში 22 სექტემბერს გაიხსნება, რის შემდეგაც ექსპოზიციას დეტროიტის Cranbrook Art Museum-სა და რამდენიმე სხვა მუზეუმში გადაიტანენ. ამჟამად სპრინგსტინი მსოფლიო ტურნესთვის ემზადება, რომელიც მისივე ახალი ალბომის, The Rising-ის მხარდასაჭერად იმართება.

ზაპას შვილი ჰენდრიქსის ისტორიულ გიტარას ყიდის

ჯიმი ჰენდრიქსის ნახევრადდამწვარი, ისტორიული გიტარა სექტემბერში ისევ აუქციონზე აღმოჩნდება. როგორც ცნობილია, Fender Stratocaster-ს მუსიკოსმა 1968 წელს, მაიამის პოპ-ფესტივალზე გამოსვლისას, ცეცხლი წაუკიდა. ამჟამად გიტარის მეპატრონე ფრენკ ზაპას შვილი, დუიზილია. თავად ფრენკს კი, გიტარა პირადად ჰენდრიქსმა უსახსოვრა. ზაპამ ინსტრუმენტი შეაკეთა და 1986 წლის ალბომისთვის Zoot Allures რამდენიმე ნომერი ამ გიტარაზე ჩაწერა.

უცნობია, რამ აიძულა დუიზილი, ლეგენდარული ინსტრუმენტი გაყიდა; ზაპას შვილი ამ გიტარით 350 ათას ფუნტ-სტერლინგის შემოსავალს ვარაუდობს. მაისში გიტარა აუქციონზე შეფასებული იყო 1,5 მილიონ დოლარად, მაგრამ არ გაყიდულა. მორიგი ვაჭრობა Cooper Own-ის სააუქციონო სახლში 24 სექტემბერს გაიმართება.

პირველად ინდოეთში

სერ ელტონ ჯონი პირველად გამართავს კონცერტს ინდოეთში. შოუ ნოემბერში, ქვეყნის სამხრეთში, ქალაქ ბანგალორში გაიმართება.

საკონცერტო ადგილის შერჩევისას, მუსიკოსს არჩევანი ბომბეისა და ბანგალორს შორის უნდა გაეკეთებინა. ინდოეთის ერთ-ერთმა უმსხვილესმა ქალაქმა ამ შემთხვევაში მარტივი მიზეზის გამო "წააგო" – ბომბეის გართობის ინდუსტრიაში თურმე 50 - პროცენტიანი საგადასახადო ბეგარა არსებობს; ხოლო კონცერტები და სხვა სახის მასობრივი ღონისძიებები იქ მხოლოდ საღამოს ათ საათამდეა ნებადართული.

Garbage "როლინგებს" გადაამღერებს

Garbage მორიგი სინგლისთვის "როლინგების" ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სიმღერას Wild Horses-ს ამუშავებს. რამდენიმე თვეა, რაც "როლინგების" ჰიტი Garbage-მა საკუთარ საკონცერტო პროგრამაში შეიტანა. ამჟამად ჯგუფი ავსტრალიაში დაკავებულია კლიპის გადაღებებით; სინგლი კი, 16 სექტემბერს გამოვა.

დასჯილი პაპარაცი

ჩოგბურთელ ანა კურნიკოვასა და მომღერალ ენრიკე იგლესიასის დაცვამ ხელში ჩაიგდო ფოტოგრაფი, რომელმაც იაპონურ რესტორანში წყვილს რამდენიმე სურათი გადაუღო. ფოტოგრაფი, რომელიც რესტორნიდან გასვლისთანავე სცემეს, ახლა თავდებითაა გაშვებული და მალე სასამართლოს წინაშე მოუწევს თავის მართლება.

რეკორდების უიქენდი

ამერიკელები სპაგეტის ზღვაში ჰავაის საგზურს ეძებენ

სიდრის წვიმა ხიხონში REUTERS

ესპანეთის პატარა ქალაქ ხიხონში ამაყობენ, რომ ხიხონელები არიან. ამ გრძნობის უპირველესი მიზეზი ადგილობრივი წარმოების სიდრია, რომელსაც განსაკუთრებულ პატივს ზაფხულის ცხელ დღეებში მიაგებენ. აგვისტოს ბოლოს, საზაფხულო ფესტივალების ფარგლებში ხიხონში სიდრის კვირეულიც იმართება. ბუნებრივია, საყვარელი სასმელის დასალევად ესპანელებს ფესტივალისა და ზეიმის მომიზეზება არ სჭირდებათ. თუმცა, ამ კვირეულს ეშხს ნამდვილად მატებს გინესის სახელის ხსენება. და ერთ მშვენიერ დღესაც, ხიხონელები ათასობით ბოთლი სიდრის კოლექტიურად გასანადგურებლად პლაჟზე იკრიბებიან. უფრო ზუსტად, გინესის რეკორდების წიგნში შესასვლელად, ისინი სასმელს პირდაპირ მიწაზე აქცევენ.

შეიძლება, გარეშე თვალისთვის ცოტა უცნაური სანახავიც იყოს, ზღვის სანაპიროზე შეკრებილი ათასობით ქალი და კაცი, რომელთაც ხელში სიდრის ბოთლები უჭირავთ და სასმელს, სერიოზული სახეებით, ძირს აქცევენ. თუმცა, თავად ხიხონელები თავს უხერხულად სულაც არ გრძნობენ. წელს, ესპანელების მტკიცებით, ამ სახალისო ღონისძიებას 3146 ადამიანი დაესწრო...

აგვისტოს სიცხეში გინესის რეკორდებით გრილდებიან სან ფრანცისკოშიც. ამ კვირაში იქ მსოფლიოში უდიდესი პასტა გააკეთეს. 3265 ფუტი სპაგეტი მზარეულებმა მოათავსეს უზარმაზარ ჯამში, რომელშიც თავისუფლად ეტეოდა რამდენიმე მოხალისე ერთად – მათ კერძის გასინჯვა და სპაგეტიში გაბნეული პრიზების მოპოვება სურდათ.

ამ უცნაურ ღონისძიებას ვაშინგტონის პარკში (მას ხშირად პატარა იტალიასაც ეძახიან), კომპანია "ნინტენდომ" უმასპინძლა. ის "ნინტენდოს" ახალი თამაშის Super Mario Sunshine-ის გამოშვებას მიეძღვნა. შესაბამისად, თავყრილობას მარიოს ფანები და ჰავაიზე გამგზავრების მსურველნი დაესწრნენ. ჰავაიზე იმიტომ, რომ სპაგეტით სავსე უზარმაზარ ჯამში "ნინტენდომ", სხვა პრიზებთან ერთად, ჰავაის კუნძულების საგზურიც მოათავსა.

თუმცა, პრიზის მოძიების უფლება ყველას არ ჰქონდა – დიდ ჯამში მხოლოდ იმ მოხალისეებს უშვებდნენ, რომელთაც მარიოს ტანსაცმელი ეცვათ. პარალელურად, გაიმართა კონკურსი, რომელსაც მარიოს მსგავსი სან ფრანცისკოელები უნდა გამოევლინა.

ამ ღონისძიებით "ნინტენდომ" გინესის რეკორდიც მოხსნა – აქამდე, თუ ყველაზე დიდი პასტა 2564 ფუტს იწონიდა, სან ფრანცისკოელებს მარიო 3265 - ფუტიანი კერძით გაუმასპინძლდა.

კაილი თხოვდება

ავსტრალიელმა ლამაზმანმა საბოლოოდ გადაწყვიტა, პირადი ცხოვრება მოიწესრიგოს. მომღერალი აპირებს, წლის ბოლომდე შვებულება აიღოს და შექმნას ოჯახი ძველ მეგობართან და პარტნიორთან, ჯეიმს გუდინგთან ერთად.

34 წლის კაილის, თურმე, ძალიან ეჩქარება შვილის გაჩენა, რადგანაც ატყობს, რომ მისი "დრო თანდათან იწურება".

კაილისა და მის მეგობარს საკმაოდ რთული ურთიერთობები ჰქონდათ; ორწლიანი თანაცხოვრების შემდეგ ისინი დაშორდნენ კიდეც. როგორც ამბობენ, უსიამოვნების მიზეზი კაილის ბოლოდროინდელი თავბრუსდამხვევი წარმატებები იყო. თუმცა, მათდა საბედნიეროდ, ეს ყველაფერი დროებითი გაბუტვა აღმოჩნდა. მომღერალმა ამერიკული ტურნეც კი გადადო მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მეტი დრო დაეთმო მეგობრისთვის. თავიდან 26 წლის გუდინგი უარს ამბობდა, თან გაჰყოლოდა მეგობარს სხვადასხვა ტურნეებში, მაგრამ ამას წინათ, ცნობილი გახდა, რომ იგი ემზადება ავსტრალიაში წასასვლელად, სადაც კაილი კონცერტების სერიას ასრულებს.

Nirvana-ს ნანატრი ალბომი

იმის მიუხედავად, რომ სასამართლო ჯერ არ დასრულებულა, დეივ გროლი და კობეინის ქვრივი, როგორც იქნა, შეთანხმდნენ Nirvana-ს უცნობი მასალების გამოქვეყნებაზე. ამგვარად, ჯგუფის უცნობი სიმღერების კრებული, შესაძლოა, წელსაც გამოვიდეს.

ნოვოსელიკის თქმით, ალბომში შევა სიმღერა You Know You're Right, რომელიც კობეინმა სიკვდილამდე ჩაწერა. კომპანია Universal ალბომის გამოცემის საუკეთესო პერიოდად წლის უკანასკნელ მეოთხედს მიიჩნევს.

ჩანაწერი ჯერ კიდევ შარშან, ჯგუფის ყველაზე წარმატებული ალბომის Nevermind-ის ათიწლისთავზე უნდა გამოეშვათ. როგორც ცნობილია, ამას შეეწინააღმდეგა კორტნი ლავი და ყველა უფლება კობეინის გამოუქვეყნებელ მასალებზე თვითონ მოიპოვა.

ივნისში კი, კორტნიმ, კრის ნოვოსელიკმა და დეივ გროლმა შეთანხმებას მიაღწიეს. როგორც ჩანს, ალბომი, რომელსაც რამდენიმე თვეში უნდა ველოდოთ, მათი თანამშრომლობის შედეგია.

უმაღლესი განათლება
დიდ ბრიტანეთში

თუ ხართ დაინტერესებული ბრიტანულ უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების მიღებით
შედარებით დაბალ ფასებში
დაგვიკავშირდით:

- (899)-175381 26 აგვისტომდე
- ან პირდაპირ უნივერსიტეტში 29 აგვისტოს შემდეგ +441978293404

- ელ. ფოსტა: n.purcell@new.ac.uk

ორივე შემთხვევაში იკითხეთ ნელი პირსელი
www.newi.ac.uk

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,
მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პროგლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.
"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

TV პროგრამა 25 აგვისტო

რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.15 მულტსერიალი
10.45 "ლეგენდა დაკარგულ ქალაქზე"
11.15 სერიალი "ნიკიტა"
12.10 მხ.ფილმი
14.00 სიმფსონები
14.30 მხ. ფილმი
17.00 პერკულესის თავგადასავალი
18.00, 21.00, 23.20 კურიერი
18.20 ქართული ფილმი
21.25 ჩვენი ეზო
21.45 "ჯეოსელის კინოკლუბი". "უსახო", "3000 მილი გრეისლენდამდე", "ყველაფერი მამაჩემის შესახებ"
23.30 მხ.ფ. "შოკი" მთ. როლებში ალენ დელონი, კატრინ დენევი

პირველი არხი

08.00, 15.00, 20.00, 00.00 "მოამგე"
08.10 მულტსერიალი "შავი მეკობრე"
09.00 "მსოფლიოს ველური გუნება"
10.00 ფრანგული პრობრამა "მოდი ვიცეკვოთ"
10.20 გავშვები უპირველეს ყოვლისა
10.35 "გლობუსი"
11.05 "მხიარული კარუსელი"
11.30 "თბილისი და თბილისელები"
12.00 "მსოფლიოს ახალი ამბები"
12.15 მულტფილმი "გედი უფლისწული"
13.15 "ზუმი"
13.30 "მეტრო"
14.00 "ბელკანტო"
14.20 საკვირაო გამოფენა
14.35 არათბილისური ამბები
15.15 მხ. ფილმი "აუზი"
17.15 "ამბები ჩვენზე"
17.40 "ბავშვთა უფლებების კონვენცია"
18.00 ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი: თბილისი "ვიტ-ჯორჯია" - თბილისის "დინამო" (რეპორტაჟი თბილისის "შევარდენის" სტადიონიდან)
20.25 "საქართველო არის ესე"
20.50 "მიამბეთ თქვენზე"
21.30 სატელევიზიო კინოდარბაზი "სნაიპერი"
21.50 "თბილისური ამბები"
22725 კონცერტი - მღერის თ. თათარაშვილი
00.10 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.20 მხ. ფილმი "მე, ისევ მე"

მეორე არხი

19.00 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "უჩვეულო ისტორიები"
21.00 მშვიდობით მე-20 საუკუნე
21.45 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი "ბაღი სავსე მთვარით"

ევრიკა

11.00 ცისკრის ზარები
11.05 მუსიკალური კოლაჟი
12.00 თეატრალური შეხვედრები
13.25 თბილისური ოჯახები
14.10, 22.00 მუსიკა
15.00, 21.00 "ვესტი"
15.30 საოცარი პირამიდა
17.00 სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება
17.20 საეკლესიო კალენდარი
17.35 საუბრები გიგლიაზე
19.00 მხ. ფილმი "მარტოხელა"
22.30 "ევროპა და ევროპელები"
23.30 მსოფლიო სპორტი
00.30 მხ. ფილმი "პრეზიდენტის თვითმფრინავი"

იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 ალსავალი
08.20, 10.10, 21.55, 00.45 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "სათამაშო"
10.20 მხ.ფ. "ბვირაბი"
20.00 მხ.ფ. "მოუთვინიერებელი"
22.30 მხ.ფ. "არაფერი რობერის შესახებ"
00.50 ღამის ფილმი

პირველი სტერეო

07.30 "მადლიანი ცნობა"
10.00 მუსიკალურ-გასართობი პრობრამა "ტორელა"
12.30 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
14.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "ატლანტიდა: დაკარგული სამყარო"
16.00 "უცნობი"
17.00 მუსიკა
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "ვიდეო-რადიო"
21.00 რომანტიკული მუსიკა
22.00 ინფორმატორი
23.00 "ცენტრი"
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ოუშენის 11 მეგობარი".
01.40 ღამურა "გაიკერები".
03.10 ნონ-სტოპი

კავკასია

12.00 ინდ. მხ.ფილმი "ერთი ნახვით"
14.40 მხ.ფ. "შეთქმულების საიდუმლო"
16.40 მუსიკა
17.00 მხ.ფ. "მაღალი მოდა"
19.00 მხ.ფ. "ქალების წყენინება არარეკომენდირებულა"
20.30, 00.00 საინფორმაციო პრობრამა "დღეს"
21.00 მხ.ფ. "სამხრეთისკენ"
22.30 მხ.ფ. "ძვრივი კუნძული სან-პიერიდან"
00.20 მხ.ფ. "ბელა მაფია"

მეცხრე არხი

09.00 საინფორმაციო პრობრამა "დღის ამბები"
09.20, 12.20, 13.20, 18.45, 20.50, 00.00 მუსიკა
09.35 მულტფილმი "ვარდისფერი პანტერა"
10.00, 15.00 "დილა"
11.20, 17.50, 19.10 "დისქავერი"
12.30 გადაცემა "საუბრები სტუდიაში"
13.30 მხ.ფილმი "პიკის საათი 2"
16.20 მხ.ფილმი "იდეალური სათამაშო"
19.00 მაცაცერა
20.00 სად? რა? როდის?
21.00 დოკ. ფილმი "ჯეკ დანი - პირველი ამერიკელი თინეიჯერი"
22.20 მხ.ფ. "მუზა". მთ. როლებში ალბერტ ბრუქსი, შერონ სტოუნი, ენდი მაკდაუელი
00.20 მხ.ფ. "ამერიკელი ჟიგოლო". მთ. როლში რიჩარდ გერი

აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართული მხატვრული ფილმი "ჭა"
10.05 Слово
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "გამოუსწორებელი"
13.50 ფილმი-კატასტროფა "კასანდრას ულელტეხილი"
16.15 მულტფილმი "მაგიური მარგალიტი"
17.20 სათავგადასავლო ფილმი "ექვსი დღე, შვიდი ღამე"
19.20 მხატვრული ფილმი "ათი ზანგი გიჭუნა" 2 სერია
20.30 ქართული მხატვრული ფილმი
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.30 Новости в воскресенье
22.50 "პერსონა"
23.20 დოკუმენტური ფილმი
00.30 ფილმი-კატასტროფა "აპოკალიფსის საათები"
03.30 თრილერი "ქერქეტი კაკალი"

VII არხი

18.00,20.00,01,45 ანონსი
18.30,21.50 ამინდის პრობნოზი
18.15 "სახლიდან გაუსვლელად"
18.50 მუსიკალური ტაიმაუტი
19.00 "აჩიკუდა"
19.30 "სახლიდან გაუსვლელად"
20.15 "ავტოტრეკინგი" (წლის საუკეთესო გადაცემა)
21.05 "საყვარელი ფილმი" - "ფანტომასი სკოტლანდ იარდიდან"
22.40 მუსიკალური ტაიმაუტი
23.10 "სახლიდან გაუსვლელად"
23.45 მხ.ფ.ჟანრებში - მხ.ფ. "ჰარვი"
01.20 "სახლიდან გაუსვლელად"
01.50 პრესის მიმოხილვა

ОРТ

08.05 Сериал "Правда о птицах"
09.00, 11.00, 15.00 Новости.
09.10 Армейский магазин
09.40, 14.30 Дисней-клуб
10.05 сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО"
11.10 Непутевые заметки с Дм. Крыловым
11.30 Пока все дома.
12.05 х.ф. "ДАВАЙ ПОЖЕНИМСЯ"
13.45 Ералаш
14.00 Тайны забытых побед. "Укращение "Сатаны"
15.10 Живая природа
16.10 х.ф. "БЕГЛЕЦ"
17.05 "Большие родители"
17.35 "Сами с усами"
18.05 Концерт "Песни для любимых"
20.05 х.ф. "БЛЭК ДЖЕК"
22.00 Время
22.30 х.ф. "ПАКА ТЫ СПАЛ"
00.25 "На футболе" с Виктором Гусевым
00.55 х.ф. "ГОД ОПАСНОЙ ЖИЗНИ"

РТР

07.35 Фильм "СДАЕТСЯ КВАРТИРА С РЕБЕНКОМ"
08.55 "ПОВЕЛИТЕЛЬ ЗВЕРЕЙ"
09.50 Русское лото
10.40 "ТВ - Бинго шоу"
11.10 Церемония вручения национальной премии "Циркь - 2002"
11.55 Сам себе режиссер
12.50 "Городок"
13.20 х.ф. "ГДЕ НАХОДИТСЯ НОФЕЛЕТ?"
15.00, 21.00 Вести.
15.20 Док. фильм
16.05 "Диалоги о животных"
17.00 Премиера "Два рояля"
18.05 "Комната смеха"
19.00 Фильм "РАЙСКОЕ ЯБЛОЧКО"
21.25 "Обратная сторона. Чужие"
22.00 Аншлаг
23.00 Фильм "ПРАВИЛА БОЯ"
01.30 "ТВИН-ПИКС"
02.35 Спорт за неделюы

НТВ

08.05 Ох уж эти дети
08.30 "Star старт". Воскресное развлекательное шоу.
09.00, 11.00, 17.00, 20.00 Сегодня.
09.15 "СВОЙ СРЕДИ ЧУЖИХ, ЧУЖОЙ СРЕДИ СВОИХ"
11.20 Детектив "ОХОТА НА ЗОЛУШКУ".
12.20 "Растительная жизнь".
13.25 "ТАНЦПЛОЩАДКА" Вкусные истории.
15.30 Служба спасения.
16.05 Своя игра.
17.30 Ток-шоу "Принцип домино".
18.35 "Очная ставка".
19.05 "Шоу Елены Степаненко". Юмористическая программа.
20.30 Сериал "ИДЕАЛЬНАЯ ПАРА"
21.35 "ОСЕНЬ В НЬЮ-ЙОРКЕ". (США).
23.45 "СМЕРТЕЛЬНАЯ ВСПЫШКА"
02.05 Бритни спирс и "БИ-2" в музыкально-развлекательной программе "Пепси-чарт".

TV პროგრამები მოგვაწოდა საგანგებო "ინფორმაციამ"

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული. ტელ: 202424, 200024
იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში